# დროება

## ყოველდღიური სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 211 ხუთშაბათი, 24 სექტემბერი 1909 წ. № 211

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ., ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში, ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. პატარა და მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ხელ არ ინახება. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



# დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ სექტემბრიდან წლის ბოლომდე 3 მ. 70 კ., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.


თავადი დავით ოტიას ძე ნიჟარაძე აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს, 24 ენკენისთვეს, ქუთაისის საკათედრო ტაძარში გარდაცვლილი იქნება წირვა და პანაშვიდი მისი დაუვიწყარ საყვარელის დედის

## კნეინა ათინაიდა ნიჟარაძის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის ათ საათზე. (2—6.—2)


წარმოდგენა № 1. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 1.

—◀ სეზონის 1909—10 დასაწყისი ▶—

კვირას, 27 სექტემბერს, 1909 წელს ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის მიერ ქ-ნ ნ. კოლხიდელის სადებიუტოდ და შ. შარაშიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

## სამშობლო

ისტორ. დრამა 5 მოქმ. და 6 სურ. დ. ერისთავისა.

მონაწილეობას იღებენ ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ვ. ჩერქეზიშვილი; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ნ. გვარამე, ი. ივანიძე, ი. იმედაშვილი-ხაშელი, შ. ხაფაროვი, კ. მათიაშვილი, შ. შარაშიძე, ვ. მატარაძე, ი. ზარდალიშვილი.

ადგილების ფასი. ლოჟები 10 მ. 50 კ.-დან 5 მ.-მდე, პარტერი 2 მ. 50 კ.-დან 60 კ.-მდე, გალერეია 40 კ.-დან 20 კ.-მდე, მოწაფეთათვის 40 კაპ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად „მედეია", „უდანაშაულოდ დასჯილნი", „ექიმი აშირბარჯიანი".

მორიგი რეჟისორი კ. მესხი. რეჟისორის თანაშემწე ვ. ურუშაძე.

დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.

ვისაც სურს ჩაეწეროს ქართულ დასში თანამშრომლად (სტატისტად), შეუძლიან მიმართოს ქართ. დრ. საზოგ. კანტორაში რეჟ. თანაშემწეს ვ. ურუშაძეს. (4—1)

# პოლიტიკური ეკონომია

ა. ბოგდანოვი

ხელის მომწერთ საყურადღებოთ ვაცხადებთ, რომ თუმცა წიგნის ბეჭდვა ჩვენი დაპირებისამებრ უნდა დაგვეწყო 1 აგვისტოს და გაგვეთავებინა სექტემბრის ბოლოს, მარა ვინაიდან პროვინციებიდან 15 აგვისტომდე სრული ანგარიში ხელის მომწერთა ვერ მივიღეთ, ამიტომ ბეჭდვას შევუდექით 15 აგვისტოს და ამ ჟამათ წიგნის ორი მესამედი უკვე დაბეჭდილია და დანარჩენიც გათავდება 15 ოქტომბრამდე; მხოლოდ ორი კვირაც დასჭირდება „ბროშუროვკას". ასე რომ, წიგნი 1-ლ ნოემბერს დაურიგდება ხელის მომწერთ. ამასთანავე ვაუწყებთ ხელის მომწერთ, რომ ავტორმა ა. ბოგდანოვმა ჩვენი თხოვნით მოგვაწოდა თავისი წინასიტყვაობა ქართულ თარგმანისათვის. ამასთანავე, წიგნში ჩართული იქნება ავტორის სურათი და მოკლე ბიოგრაფია.

მეორე წიგნათ განზრახვა გვაქვს გამოვსცეთ კ. კაუცკის თხზულება კ. მარქსის „კაპიტალის" პირველი ტომის პოპულიარიზაცია, თარგმანი ფ. მახარაძისა ავტორისა და მთარგმნელის წინასიტყვაობით.

(1—464—1) წიგნ. გამომც. ამხ. „ალიონის" გამგე ვ. გადილია.

**ექიმი** ლ. ნ. ოჯანჯანოვი ყოფილი ასისტენტი პროფ. ნიცისა ბერლინში, სპეციალურად: საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის კუთხე.) (100—ზალ.—20)

**ექიმი** ჩარექოვი ქ. ქუთაისში. სპეციალისტი. იღებს განსაკუთრებით სიფილისით, ვენერიულ და კანით ავადმყოფებს. დილით 12—2 ს., საღამოთი 5—6 ს. გეგუთის ქუჩა, აბულაძის მესაზვავი იოსელიანის სახლში. (25—ფ.—16)

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი** ი. ნ. ეგიაზაროვის ელექტრო-თერაპევტიული გაბინეტი. სპეციალ. ნერვებისა და შინაგ. ავადმყოფობანი. მიღება დილით 12—1 ს., საღამოთი 6—7 ს. ველიამინოვის ქ. N 4. (100—ზალ.—14)

**ექიმი** კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (ხუხუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7: კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (70—კვ.—69)

**ექიმი** ქ. ქუთაისში. მ. დ. ბეთანოვი აფთიაქის, N 24, და კლუბის ქ., N 2, კუთხეში. იღებს სიფილისით, ვენერიულ, კანის და შინაგანის სენით ავადმყოფებს ყოველ დღე 25 აგვისტოდან დილით 9—11 ს. საღამოთი 5—8 ს. (25—კვ.—25)

**ექიმი** კბილისა ს. ვაშაყმაძე აბასთუმნიდან დაბრუნდა. ავადმყოფებს იღებს ახალ ბინაზე დილით: 9—2 საათ. საღამოს: 5—7 საათ. ვერის დაღმართი, ს. N 15. (25—6.—14)

**ექიმი** კ. ს. ფონ-ირტელი არჩენს სპეც. თირკმ., საშ., ვენერ., სიფ., ქარ. და კანის ავადმ. (სქეს. უძლ., სისუსტ., ქრონ., ტრიპერი) ელექ.-სამკ. კაბ. დილ. 9—12 ს., საღ. 5—8 ს. ვორონ. მეგლ., მონუმენტის მეხ. N 5, ს. მაფრანოვისა, ბუღ. გვერდზე. (100—ზალ.—6)

**ექიმი** ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—13)

**ექიმი** ვასილ წერეთელი ქუთაისში იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—12)

**ექიმი** მიუნხენის უნივერსიტეტისა იორდანე მ. გოცაძე დაბა ყვირილაში მიიღებს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფებს 8—1 ს. გედევან ჩუბინიძის ნომრებში. ნასადილევს ივლის სახლში ავადმყოფებთან. (25—417—25)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა. იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (9. 165,

**ექიმი** კაკიტელაშვილი ქუთაისში 9 ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს ხომხის ქუჩაზე, თოფურიასეულ საავადმყოფოსთან. მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით —11 ს. საღამოთი 5—7 ს. (100—6.—72)

**ექიმი** კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდრონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—255)

ქუთაისში

კბილის ექიმის დ. ს. რაჟინაშვილის კაბინეტთან გაიხსნა

## სამკურნალო

პირის და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიხრი მთავრობისაგან ქალაქ ტკიცებულია. მოსიარულე ავადმყოფთათვის ყოველ დღე დილის 8-დან საღამოს [illegible] პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28, შინსკის აფთიაქის გვერდით. (100—6.—2)

ახლად გახსნილი ტფილისის

## კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

- ე. გ. ფელდორთვა—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.
- გ. დ. ლამბაშიძე—პირველ სექტემბრამდე შეჩერა მიღება.
- ბ. ა. პოპოვი—პირველ სექტემბრამდე შეჩერა მიღება.
- ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
- ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.
- ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.
- გ. ს. მუსხელიშვილი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძებისგასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6.—163)

## სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა მუდმივ კრაოტებით.

მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

ავადმყოფთა მიღება:

- მ. ალაჯანოვი—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.
- ნ. ათენიანცი—ყურ., ცხვირ. და ყელ. 1—2 ს.
- გ. ვნუკოვი—ქირურგიული ავად. 1—2 ს.
- ი. ეგიაზაროვი—ნერ. და შინ. 11—12 ს.
- მ. კიმონტი—ქირურგ, ავად. 11—12 ს.
- მ. მაგაკიანი—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.
- ლ. მონინა—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.
- ა. კალმიკოვა-ვნუკოვა— ქალის ავად. 2—3 საათ.

სამკურნალოსთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტერ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. საავადმ. განყოფილება მესდგება საზოგ. პალატებისა და ცალკე სომრებისაგან. (100—ზალ.—13)

ნაფიცი ვექილი

## სერგეი დავითის ძე ჯაფარიძე

ქუთაისიდან გადავიდა ტფილისში (ბროსეს ქუჩა, ახვერდოვის სახლი № 11, სასტუმრო „ლონდონის" ახლოს). (25—6.—15)

## სამუსიკო სკოლა

ტფილისის ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებისა

ამით აცხადებს, რომ უკვე არსებულ ფორტეპიანოს, სკრიპკის და მუსიკის თეორიის კლასებს გარდა, პირველ ოქტომბრიდან იხსნება კიდევ შემდეგი სპეციალური კლასები და მასწავლებლებადაც მოწვეული არიან: სკრიპკისა—ვენის კონსერვატორიაში სწავლა დამთავრებული დ. ბ. გროსმანი, ვიოლონჩელისა—პარიზის კონსერვატორიაში სწავლა დამთავრებული ბ. ი. დრობოგლავი და სიმღერა (solo)—ოპერის არტისტი ნ. დ. კოვალენსკი. ფასი სკრიპკაზე და ვიოლონჩელოზე სწავლისა 60 მ. წელიწადში ხოლო სიმღერისა—75 მანეთი.

ამასთან სკოლის გამგეობას აზრადა აქვს, ფილარმონიულ საზოგადოების ხორო შეავსოს ახალ წევრებითა და ავარჯიშოს იგი ეკკლესიებში და კონცერტებში მონაწილეობის მისაღებად. ამისათვის აუწყებს ამას გამგეობა როგორც ხოროს ძველ მომღერალთ, ისე იმათ, ვისაც სურვილი აქვს ახლად ჩაეწეროს ზემოხსენებულ ხოროში. ხმების გასინჯვა, ძველი მომღერლების გამოცხადება და ახლად გახსნილ კლასებში მოწაფეთა მიღება დანიშნულია სკოლის კანცელარიაში, ყოველ დღე ნასადილევის 5—8 საათზე; ს:-პიროს ქუჩა, საზ. ყენტისა, N 18. (3—1)

**ექიმი** გ. მაგაკიანი. შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა. ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს. მიხეილის პრ., N 36, ს. ჭავჭანიძისა. (100—ზალ.—31)

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** მ. ლამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

## სამკურნალო

[illegible]ალისტ სამხედრო ექიმებისა გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. [illegible] დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481. [illegible] რჩევისათვის 50 კაპ. [illegible] მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

- [illegible]—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.
- [illegible]რაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ დღე 1—3 საათ.
- პავლოცკი—ქირურგ. ყოველდღე 4—5
- იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბთ., ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.
- ბოჟოვსკი—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.
- ჩუდნოვსკი.—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ. ოთხშ.და პარასკ. 4—5 ს.
- ერმოლაევი—ბავშ. ყ.-დღე. 1—2 ს.
- ვნუკოვი—ქირურგ. ყოველ დღე 2—3.
- ნოვიცკი—ბებ., ქალ., ყოველ დღე 1—2
- ახვლედიანი— შინაგ. და ბავშ. ყოველ დღე $11$—$12^{1/2}$ ს.
- კალამქართვი—ბებ., ქალ. ყ.-დღ. კვირ. გარდა 4—5 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსენარის შრატით. (100—6.—96)

## ხალხური ლექსები და სიმღერები

შეკრებილი ი. კარგარეთელის-მიერ.

იყიდება ქ.-შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. (3—უ.—2)

## შპალიერი

ძმ.

## ბარნოვლების

ფაბრიკის

იყიდება იმპერიის ყველა ქალაქის დიდ მაღაზიებში.

განყოფილება ტფილის.: გოლოვინის პრ. 21, სადაც თეატრია საარტისტო საზოგადოებისა.

ფასები საფაბრიკოა.

ტელეფონი N 355.

ნიმუშები უფასოდ. (25—6. 11)

გუშინ ესე 11 საათზე, დავიდოვისა და გრიბოედოვის ქუჩის კუთხიდან, საცა პისკუნის სამრეცხლოა, მივდიოდი აფიცერთა ეკონომიურ საზოგადოებისკენ გოლოვინის პრ. და **დავკარგე** პორტფელი ჯიბისა (შავი), საცა მქონდა ტფ. კომერც. ბანკისა და ტფ. საურთიერთო ბანკის ბილეთები ი. ა. იანუშკევიჩის სახელზე. მპოვნელს ვთხოვ, დამიბრუნოს პორტფელი, რადგან მისთვის იგი გამოუსადეგარია, შემდეგის ადრესით; წყნეთის ქ. N 29, რატოვს, გადასაცემათ იანუშკევიჩისთვის, რისთვისაც მიიღებს გასამრჯელოს. (2—463—2)


# ტფილისი, 24 სექტემბერი

როცა საერობო თათბირი დაიწყო ამიერ-კავკასიის სხვა და სხვა ქალაქებში, ჩვენ ის აზრი გამოვთქვით სხვათა შორის, რომ ადგილობრივი საზოგადო დაწესებულებანი, რომელთაც მთავრობამ მიჰმართა, საერობო საკითხში პროგრესიულ მიმართულებას გამოიჩენენ. ჯერ-ჯერობით ყველა ადგილებიდან არ მოსულა ცნობები საერობო თათბირების შესახებ, მაგრამ საიდანაც მოვიდა, ისინი ამტკიცებენ, რომ ჩვენი წინასწარმეტყველება ცოტად თუ ბევრად მართლდება. ტფილისს გარდა ცნობები გვაქვს უკვე ბაქოდან, ბათუმიდან და ქუთაისიდან და ყველგან ამ ცენტრებში ჩვენ ვხედავთ, რომ სხვა და სხვა დაწესებულებანი და საზოგადოებრივი ჯგუფები არა-თუ არ სწევენ ერობას უკან, როგორც ეს რუსეთის „ზუბრების" კრებებზე იყო, არამედ 1864 წლის საერობო დებულებითაც არ კმაყოფილდებიან და უფრო დემოკრატიულ ადგილობრივ თვითმართველობის მომხრეებად გამოდიან. რასაკვირველია, დროსა და გარემოებათ თავისი გავლენა აქვს, და მაგალითად, ის მოთხოვნები, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ამ სამი წლის წინად, აღარ ისმის; მაგრამ საერთოდ მოთხოვნები მაინც პროგრესიულია და ფართო. მათი შედარება შეიძლება შიდა რუსეთის მხოლოდ ზოგიერთ პროგრესიულ ერობათა მოთხოვნებთან, ხოლო უმრავლეს ერობებისა და თავადაზნაურთა მოთხოვნათ შიდა რუსეთისას, ჩვენი ქვეყანა ბევრად უსწრებს წინ.

საკმარისია მკითხველმა გაიცნოს, მაგალითად, ქუთაისის თავად-აზნაურთა სადეპუტატო კრებულის პროექტი და იგი თვითონ დაინახავს, რა დიდი განსხვავებაა ჩვენებურ თავადაზნაურობის და რუსეთის „ზუბრების" სათვითმართველობო პლანებსა და განზრახვებს შორის. მაშინ როდესაც რუსეთის თავად-აზნაურობის უმრავლესობა 1890 წლის ერობასაც-კი უკანა სწევს და უფრო ამახინჯებს თავის ვიწრო წოდებრივ ინტერესებისათვის, ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა წარმომადგენელნი მოწინავე რუსეთის ერობათ უჭერენ მხარს და მოითხოვენ პროგრესიულ ადგილობრივ თვითმართველობას.

პროექტის შემდგენელნი გადაჭრით აცხადებენ, მაგალითად, რომ, მათის რწმენით, საერობო თვითმართველობაში ყველა ადგილობრივი მცხოვრები განურჩევლად წოდებისა, ქონებისა, ეროვნებისა და სქესისა უნდა იღებდეს მონაწილეობას. მხოლოდ, რადგან ნამესტნიკის ცირკულიარი უეჭველად მოითხოვს პასუხს ცენზის შესახებ და რადგან დღევანდელ პირობებში, პროექტი ძალა-უნებურად ირჩევს ცენზს, მაგრამ ცდილობს—რაც შეიძლება შეამციროს იგი, ამისთვის პროექტი უარჰყოფს აწ არსებულ ქონებრივ საცენზო სისტემას და მიჰმართავს საგადასახადო პრინციპს: ვინც ერობის გადასახადს იხდის, საარჩევნო უფლება უნდა მიეცეს. ამის შემდეგ პროექტის შემდგენელნი შედიან იმის განხილვაში, თუ როგორი ნორმა გადასასადისა უნდა იქმნას მიღებული. სტატისტიკური ცნობები ამტკიცებენ, რომ სამი მანეთის ნორმაც რომ იქმნას აღებული, გადამხდელთა 87% ერობის გარეშე დარჩება; ამიტომ არჩევენ ერთი მანეთის ნორმას. მაგრამ, რადგან ეს ნორმაც ერთობ დიდი გამოდის ქუთაისის გუბერნიისთვის, პროექტი ამბობს—მანეთზე ნაკლებს ვინც იხდის საერობო გადასახადისას, მათ არა-პირდაპირი მონაწილეობის ნება მაინც მიეცესო, ესე იგი, მათ უნდა შეეძლოთ რწმუნებულების არჩევით მიიღონ საერობო საქმეში მონაწილეობის უფლებაო...

შემდეგ პროექტი ეხება საკითხს ერობის დამოკიდებულების შესახებ მთავრობისაგან და უარჰყოფს 1890 წლის საერობო დებულების მე-87 მუხლს, რომლის ძალით ადგილობრივ გუბერნატორს ნება აქვს ერობის ყოველი დადგენილება შეაჩეროს, თუკი იმის აზრით ეს დადგენილება „მცხოვრებთა ინტერესებს ეწინააღმდეგება". პროექტის შემდგენელნი მედგრად ეწინააღმდეგებიან ადმინისტრაციის შეხედულებასა და თვითნებობას ამ საქმეში და მოითხოვენ, რომ ადმინისტრაციას ნება ჰქონდეს მხოლოდ კანონიერების მეთვალყურეობისა. ამისთვის პროექტი ამჯობინებს 1864 წლის დებულების ცნობილ 95 და 96 მუხლებს. გარდა ამისა პროექტი თითქმის აუქმებს ადმინისტრაციის გავლენას საერობო მოხელეთა არჩევისა და დანიშვნის საქმეში,—იმ გავლენას, რომელმაც მრავალი ცუდი შედეგი მოუტანა შიდა რუსეთის აწინდელ ერობას...

საერობო კომპეტენციის მხრითაც პროექტი შედარებით ფართოდ ეხება საკითხს. იგი დაასკვნის, რომ კავკასიის მომავალ ერობის კომპეტენციაში უნდა შედიოდეს ყველა ის საქმეები, რომელიც აწ არსებულ დებულების მე-2 მუხლშია ნაჩვენები და გარდა ამისა კიდევ შემდეგიცო: სარწყავ წყლების გამგებლობა, გადასახლების საქმე, გლეხთა მიწათ-მფლობელობისა და სარგებლობის საქმე, იურიდიულ დახმარების საქმე და „ყველა ის, რაც ადგილობრივ საჭიროებასა და სარგებლობას შეადგენსო"...

რაც შეეხება ერობის ტიპს, ქუთაისის პროექტი შეჩერებულია ორ-სართულიან შენობაზე,—ისეთზე, როგორიც პირველად გადასწყვიტა ტფილისის წინასწარ სათათბიროს პირველმა სექციამ: სარაიონო ან უბნის (участокъ) ერობა, რომელთა რიცხვი ქუთაისის გუბერნიაში 30-ს აღემატება, და საგუბერნიო ერობა. პროექტი პრინციპიალურად არაა წინააღმდეგი მცირე საერობო ერთეულისა, მაგრამ ფინანსიურის მოსაზრებით შიშობს უფრო მცირე ერთეულის შემოღებას, ვიდრე რაიონი იქნება... თუ დავუმატებთ, რომ პროექტი წინააღმდეგია ქალაქების გამოყოფისა ერობიდან და რომ მოითხოვს ბათუმის და სოხუმის ოლქების მოთავსებას ქუთაისის გუბერნიის საერთო საერობო ერთეულში, ჩვენ გვექნება წარმოდგენილი ქუთაისის თავად-აზნაურთა საკრებულოს გეგმის უმთავრესი საფუძვლები...

როგორც ჰხედავთ, მთავარი სათვითმმართველობო პრინციპები ქუთაისის სათავად-აზნაურო პროექტსაც იმგვარივე აქვს დაახლოვებით, როგორიც შეიმუშავეს ტფილისს, ბაქოსა და ბათუმში. ესეთი ერთ-სულოვნება უტყუარად მოწმობს, რომ ჩვენს განაპირა ქვეყანას ვერ დააკმაყოფილებს ვერც 1903 წლის, ვერც 1890 წლის საერობო დებულება. ეს გარემოება უთუოდ უნდა იქონიოს მხედველობაში მომავალმა საგუბერნიო ოფიციალურმა თათბირმაც და კავკასიის უმაღლესმა ადმინისტრაციამაც. თუ კი საზოგადოებრივ აზრს მიჰმართეს არა მარტო ფორმისთვის, მაშინ შედეგსაც სათანადო ანგარიში უნდა გაუწიონ.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

იმას, ვინც მცირედ მაინც აქცევდა ყურადღებას რუსეთის სინამდვილეს, ვინც ამ უკანასკნელ დროის გაზეთებს მაინც ათვალიერებდა, ნათლად ექნება წარმოდგენილი, რა საშინელ მდგომარეობაში არიან პოლიტიკური გადასახლებულნი. ყოველ მხრივ ისინი ღვთის ანაბარად არიან მიგდებულნი და ხშირად იმ მცირე გროშებსაც ვერ იღებენ, რაც ხაზინიდან აქვთ გამოსაკვებად დანიშნული. ყოველივე ეს იმდენად აშკარაა, რომ არც კია საჭირო ისეთი შრომის დამოწმება, როგორიც არის კენანის ცნობილი „ციმბირი და გადასახლება". მაგრამ ის, რაც ჩვენთვის, უბრალო მოკვდავთათვის, აშკარაა, თურმე ამა ქვეყნის ბატონ-პატრონთა აზრით ჭორი და გამოგონილი ყოფილა.

გაზ. „რუსკ. ვედომოსტი" მეთაურ წერილში ეხება რუსეთის სამკურნალო საზოგადოების ჟურნალის რედაქტორების პოპოვისა და შიდლოვსკის საქმეს, რომელიც მოსკოვის სასამართლო პალატამ ამას წინად გაარჩია. ამ ჟურნალში მოთავსებული იყო წერილი ამ სათაურით: „სანიტარული პირობები პოლიტიკურ გადასახლებისა". წერილი განგებ ყალბ ცნობებზე დამყარებულად ჩაუთვლია ადმინისტრაციას და სა-

მართალში მიუცია ორივე რედაქტორი. წერილში მხოლოდ ფაქტიური მასალა იყო აღნიშნული. აწერილი იყო, რა აუტანელ პირობებში არიან პოლიტიკური გადასახლებულნი. „რუსკია ვედომოსტი“ სწერს ამის შესახებ.

ამ წერილში ყველაფერია—ისიც, როგორ იძულებულნი არიან გადასახლებულნი შმორიან ადგილებში იცხოვრონ და ისიც, თუ როგორ აუპატიურებენ ქალებს ჯარის კაცები (Конвойные); სიცივე, შიმშილი, უადგილობა, მთავრობის მიერ დანიშნულ დახმარების მიუცემლობა, ადმინისტრაციის დაბალ მოხელეთა თვით-ნებობა. ყოველივე ეს, ერთად აღებული, სწორედ ის არის, რასაც იუსტიციის მინისტრმა ბ. მურავიოვმა უწოდა „საზიზღრობ“ და „თან და თან სიკვდილით დასჯა“. მაგრამ უბედურება ის არის, რომ ასე თან და თან სიკვდილით ისჯებიან ხშირად სრულებით უდანაშაულო ადამიანები. არიან ისეთი გადასახლებულნი, რომელთაც არც კი იციან, რით დაიმსახურეს მთავრობის გულის-წყრომა... ერთი ამბავი სასამართლოში კიდეც მოიხსენიეს. თურმე ერთი ძმის მაგიერ მეორე გადაუსახლებიათ და ბოლოს რის ვაი-ვაგლახით დაუბრუნებიათ იგი სახლში. ამგვარი ამბავი მეოთხმოცე წლებშიაც მოხდა: სუდეიკინის მკვლელობაში ეჭვი მიიტანეს ერთ კაცზე. იგი დააპატიმრეს. მალე ნამდვილი მკვლელებიც შეიპყრეს, მაგრამ წინად შეპყრობილი არ გაანთავისუფლეს და რამდენიმე წლით დასავლეთ ციმბირში გადაასახლეს. საკმაოა ხელმოუწერელი ბარათი, დასმენა, უვიც და ლოთ მაძიებელ პოლიციის აგენტის დაბეზღება რომ უდანაშაულო კაცი შეიპყრან და გადაასახლონ.

ადმინისტრაცია გაბედულად მოიქცა, როდესაც სამართალში მისცა რედაქტორები. ალბათ ეგონა, სასამართლო ჩემი ყურ-მოჭრილი მონაა და დასჯის რედაქტორებსაო. მაგრამ ანგარიში წაუხდა: საგამომძიებლო დაწესებულებამ დიდძალი მასალა შეაგროვა, სინამდვილის აჩრდილმა იმის კანცელარიამდისაც მიაღწია. ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ გადასინჯა ეს მასალა და დაადგინა, რედაქტორებს სიმართლე დაუბეჭდიათ. პოპოვი და შიდლოვსკი გაამართლეს. ისიც კარგია, რომ ამ სასამართლოს მაინც არ მოუვიდა შეცდომა და სხვა უდანაშაულოებს ეს ორი რედაქტორიც არ მიუმატეს...

*
* *

გუშინდელ „მომავალ“-ში დაბეჭდილია მეთაური, რომლის ავტორიც ვილაცას თავგამოდებით ეკამათება და უმტკიცებს, რომ „პროლეტარიატი არ ყოფილა მოკლებული ხელოვნებისადმი ლტოლვას“, რომ პროლეტარიატს და მუშებს ხელოვნება მოსწონთ. ამ თავის თავად მარტივ და ყველასათვის აშკარა აზრის დამსამტკიცებლად მთელი სვეტის მანძილზე სიტყვების ბრახი-ბრუხია. დალოცვილს ის მაინც არ წაუკითხნია ან არ გაუგონია, რომ ხელოვნება, მაგალითად, მუსიკა, ადამიანზე კი არა, უენო არსებაზედაც-კი მოქმედებს, რომ იმათაც კი აქვთ „ხელოვნებისადმი გრძნობა“. თავის აზრის დასამტკიცებლად ავტორი იმოწმებს უძველეს ისტორიულ დროსაც-კი. იგი „ტყავს აძრობს“ ვიღაც მეცნიერ პუბლიცისტებსაც. აი რასა ვკითხულობთ ხსენებულ მეთაურში:

> ასეთია მუშათა კლასის შეხედულება მეცნიერებაზე და ხელოვნებაზე. მტკნარი სიცრუეა, როცა ზოგიერთი მეცნიერ-პუბლიცისტები ამტკიცებენ, ვითომ პროლეტარიატს არ მოსწონდეს **მეცნიერების მეორე დარგი—ხელოვნება.** (ხაზი ჩვენი გასმულია),—არ ელტვოდეს მას და სულ მცირე მნიშვნელობას არ აძლევდეს...

არა გვგონია, მოიპოვებოდეს სადმე ისეთი ჭეშმარიტი მეცნიერი და პუბლიცისტი, რომელიც ამტკიცებდეს, რომ ხელოვნება დარგია მეცნიერებისაო. ამას „ამტკიცებენ“ მხოლოდ „მომავლის“ პუბლიცისტები და ამ „აღმოჩენისათვის“ შთამომავლობა, ეჭვი არ არის, ღირსეულად დააფასებს მათ.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

23 სექტემბერი

## ოსმალეთი

**სტამბოლი.** ოსმალეთის განსაკუთრებული საელჩო გემ „სტამბულით“ ლივადიაში გაემგზავრა. საელჩოში შედიან: გარეშე საქმეთა მინისტრი რიფაატ-ფაშა, კორპუსის უფროსი ნაზიმ-ფაშა, გარეშე საქმეთა მინისტრის კანცელარიის დირექტორი და კორპუსის უფროსის ადიუტანტი. საელჩოს თან გამოჰყვნენ ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტის ზოგიერთი წევრები.

## საზღვარ-გარეთ.

**ბუდაპეშტი.** დამოუკიდებელთა პარტიის კონფერენციაზე. პარტიის ლიდერმა კოშუტმა კონფერენციას გადასცა თუ რა შედეგი მოჰყვა მეფეს და მის მოლაპარაკებას. კოშუტის სიტყვით მას მეფე ვერ დაურწმუნებია დამოუკიდებელთა პარტიის პროგრამის სამართლიანობაში. მიუხედავად ამისა კოშუტთან მოლაპარაკება ჯერ არ შეუწყვეტიათ. კოალიციის დარღვევის გამო თანამდებობიდან გადადგა დეპუტატთა პალატის ორი ვიცე-პრეზიდენტი, ერთი მათგანი კონსტიტუციონურ პარტიის წევრი იყო, მეორე—სახალხო პარტიისა. დეპუტატთა პალატა ამ მოკლე ხანში აირჩევს ვიცე-პრეზიდენტებს. პალატის უმრავლესობას გადაწყვეტილა აქვს, პალატის უმცირესობას მარტო ერთი ვიცე-პრეზიდენტის ადგილი დაუთმოს.

**ზაგრები.** სამოსამართლო პალატამ უკვე დაამთავრა და განაჩენი გამოიტანა იმ ბრალდებულების საქმის შესახებ, რომელთაც სახელმწიფო ღალატი ბრალდებოდათ. სასამართლომ გადაუწყვიტა: ადამ და ვალერიან არიბიჩევიჩებს თორმეტ-თორმეტი წლით კატორგა, ზოგიერთებს 4—7 წლამდე სატუსაღო, 18 გაამართლა. განაჩენის კითხვას რამდენიმე საათი მოუნდნენ

**ზაგრები.** ბრალდებულებმა, რომელთაც სახელმწიფო ღალატები ბრალდებოდა და სასამართლომ სხვა და სხვა სასჯელი მიუსაჯა, განასაჩივრეს სასამართლოს დადგენილება. პროკურორმა განაცხადა პროტესტი.

**პარიზი.** გაიფიცნენ გავრის ნავთსადგურის მუშები და ბორდოს მუშების ნაწილი.

## რუსეთი

**პეტერბურგი.** სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად კოლიუბაკინის მაგიერ აირჩიეს კუტლერი, კადეტი, ამოუვიდა 12461 ხმა. ს.-დემოკრატების კანდიდატმა სოკოლოვმა მიიღო 4677, ოქტომბრისტების გრიბოედოვმა—3951, უპარტიო პროგრესისტმა კუზმინ-კარავაევმა—1799, მემარჯვენეების ნაფიცმა ვექილმა ბულაცელმა—1242 ხმა. კენჭებს ოფიციალურად ხვალ დასთვლიან.

**ვარშავა.** სადგურ ქირარდოვის ახლო, მატარებელში უცნობ[ებმა] მოჰკლეს გისულტოვსკი, ქი[რარ]დოვის ქარხნის მუშების ზედამხედველების უფროსი. მკვლელები ბედ[ნი]ერად აღმოაჩინეს.

**პოლტავა.** სამაზრო ერო[ბამ] დღინა მაზრაში გახსნას 14 [სახალხო] სამკითხველო-წიგნთ-საცავი, წიგნების საწყობის 20 განყოფილება, საჩვენებელ მინდვრების რიცხვი 40 მდე აიყვანოს და სხვ.

**მოსკოვი.** დააპატიმრეს მოსკოვის სამხედრო საბჭოს საქმის მწარმოებელი პოლკოვნიკი პოლიაკოვი. პოლიაკოვის დაპატიმრება სენატორ გარინის რევიზიამ გამოიწვია.

**კალუგა.** სოფელ პოლეიში სამი ბოროტგანმზრახველი თავს დაეცა ადგილობრივ ეკლესიას. ბოროტგანმზრახველებმა შეჰკრეს ეკლესიის დარაჯები და ეკლესიიდან მღვდლის შესამოსელი, ძვირფასი ხატები და სხვა ნივთები წაიღეს. ამის შემდეგ ბოროტგანმზრახველები შეცვივდნენ მღვდლის სახლში, წაიღეს ფული და ძვირფასი ნივთები და გაიქცნენ.

**კურსკი.** სოფელ ბონიცარში გადაიწვა 53 სახლი და წრევანდელი მოსავალი. ზარალი 20,000 მანეთს უდრის.

**ხარკოვი.** თავად-აზნაურთა კრებამ დაადგინა თავიანთ წოდებიდან განსდევნოს პირველ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებად ნაყოფები: კოვალენსკი, გრედესკული, ლონტკარევი და დელარიუ-ივანოვი. ამათ ბრალდებათ ვიბორგის მოწოდებაზე ხელის მოწერა.

**ჩერნიგოვი.** სოფელ ნოვაია ბასანაში გადაიწვა 40 სახლი და წრევანდელი მოსავალი. ზარალი 20,000 მანეთს უდრის.

**ოდესა.** საღამოს 6 საათსა და 30 წუთზე განსაკუთრებულ მატარებლით ჩამოვიდა სპარსეთის შაჰად ნამყოფი მაჰმედ-ალი. სადგურზე ნაშაჰარს დაუხვდნენ: ოდესის ოლქის ჯარის უფროსი, გრადონაჩალნიკი, რკინის გზის ადმინისტრაციის წარმომადგენელნი და სხვანი. მაჰმედ-ალი თავის სადგომში—გოგოლის ქუჩაზე—წავიდა.

## ხოლერა

**პეტერბურგი.** დღე-ღამეში ავად გახდა 37, გარდაიცვალა 13, ავად არის 363 კაცი.

**ჩერნიგოვი.** 21 სექტემბერს სოფელ ნიკოლსკაიაში ავად გახდა 4 კაცი.

**ვლადივოსტოკი.** სენის დაწყებ[იდ]ან ამ[ბ]ავ[ა]ქნობამდის სულ ავად გახდა [...], გარდაიცვალა 50, მორჩა 20 [...] თადი მ[...] სუბობ[...]

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **აკაკი წერეთელი.** პარიზიდან გვწერენ: ჩვენი მხცოვანი პოეტი აკაკი ამ ჟამად პარიზშია. თან ახლავან ძუძლე და შვილი. პოეტი ბევრსა მუშაობს, მაგრამ სიბერეს უჩივის: „ბევრსა ვწერ, მაგრამ სიბერემ დამრია ხელი: ძველებური ხალისი და ცეცხლი აღარ არისო!“ დაწერილი აქვს ახალი პოემა „ვორონცოვი“. შიგ გამოყვანილია ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები, ნიკოლოზ ბარათაშვილი და დიმიტრი ყიფიანი. პროზად აქვს დაწერილი: „სომხები და ჩვენ“ და „ბანკების დაარსება ჩვენში“. პარიზის ქართველობა ძვირფასს სტუმარს ნადიმის გამართვას უპირებს, რომელზედაც მიწვეულნი იქნებიან ზოგიერთი ფრანგი მწერალი და ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელნი.

✦ **უნივერსიტეტი ტფილისში.** „კასპის“ პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: სახელმწიფო სათათბიროს კულუარებში ხმა დადის, რომ საერო განათლების მინისტრს აზრადა აქვს 1910 წლის ხარჯთაღრიცხვაში შეიტანოს კრედიტი ტფილისში უნივერსიტეტის შენობათა ასაგებად და ამ უნივერსიტეტის შესანახად.

✦ **დუშეთის ხაზინის საქმე.** როგორც ვწერდით, 22 სექტემბერს ტფ. სამოსამართლო პალატაში დაიწყო გარჩევა საქმისა დუშეთის ხაზინიდან ფულის გატახის შესახებ. საქმე ირჩევა ხალხის დაუსწრებლად. 22 სექტემბრის სხდომაზე პალატამ მოიკითხა მოწმეები. აღმოჩნდა, რომ დაბარებულ სამი მოწმიდან ერთი კაცის მეტი არ გამოცხადებულიყო. ვექილებმა ითხოვეს საქმის გადადება, მაგრამ პალატამ არ შეიწყნარა. შემდეგ პალატამ აზატოვის შესახებ საქმე გამოჰყო მოწმეთა გამოუცხადებლობისა გამო. ამ დღეს პალატამ ჩვენება ჩამოართვა მოწმეს და ილაპარაკა ბრალმდებელმა, რომელმაც ითხოვა ბრალდებულთა დასჯა. გუშინ, 23 სექტემბერს, ილაპარაკეს ვექილებმა. პალატამ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს წინანდელი განაჩენი ბრალდებულთა შესახებ.

✦ **ათი წლით კატორგა.** 22 ენკენისთვეს გორში ტფ. ოლქის სასამართლოს სესიამ ათი წლით კატორგა გადაუწყვიტა იოსებ ხაზაზიშვილს, რომელსაც ჰბრალდებოდა იაკობ მაისურაძის მოკვლა. ეს მკვლელობა მოხდა წელს 13 მარტს.

✦ **ბუღჰალტერის ავადმყოფობა.** ტფ. ქალაქის გამგეობის უფროსი ბუღჰალტერი ერმიშევი ამ რამდენიმე წელიწადია ქარებით ავად არის. წელს ერმიშევი იმდენად დაავადმყოფდა, რომ ხუთი თვეა სამსახურში ვეღარ დადის. ქალაქის გამგეობის უკანასკნელ სხდომაზე ნ. პ. კოკჩაევმა ლაპარაკი ჩამოაგდო ბუღჰალტერის მდგომარეობის შესახებ. მან განაცხადა, ამდენი ხანია ბუღჰალტერი ავად არის და საჭირო შემოწმება იმის გამოსარკვევად, ერმიშევი შესძლებს კიდევ თუ არა სამსახურის განგრძობას. გამგეობამ დაადგინა, დაავალოს სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორს, შეადგინოს განსაკუთრებული კომისია ავადმყოფის შესამოწმებლად. ქალაქის უფროსი ბუღჰალტერი წელიწადში იღებს 3600 მან. ვინიცობაა კომისიამ გამოარკვევს ერმიშევის სამსახურისათვის გამოუსადეგრობა, გამგეობა შეუდგება ამ საპასუხო თანამდებობაზე ღირსეულ კანდიდატის გამონახვას.

✦ **ექიმის გადასახლება.** როგორც დეპეშებიდან ვიცით, შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით, ნარიმან-ბეკ ნაჯაფ-ოღლის 2 წლით აეკრძალა კავკასიაში ცხოვრება. ბაქოს გაზეთების სიტყვით, ნაჯაფ-ოღლი ტფილისის მცხოვრები ყოფილა, პროფესიით ექიმი. მიზეზი გადასახლებისა გამოცხადებული არ იყო.

✦ **სტუდენტების პეტიცია ლამბაშიძის გამო.** როგორც ვიცით, ამ ზაფხულს საფრანგეთში დააპატიმრეს სტუდენტი ლამბაშიძე. როგორც „ბაკუს“ ატყობინებენ, ფრანგი სტუდენტები ხელს აწერენ პეტიციას, რომელიც სტუდენტების სახელით საფრანგეთის მთავრობას უნდა წარედგინოს. სტუდენტობა ამ პეტიციით სთხოვს მთავრობას, სტუდენტი ლამბაშიძე არ გადასცეს რუსის მთავრობას.

✦ **ყუმბარა.** 22 სექტემბერს, დილის 8 ნახ. საათზე, პოლიციამ რომანოვსკისა და იურიევსკის ქუჩებს შუა ხრამში ნახა სპილენძის სქელ კანიანი ყუმბარა, ავჭალის ტიპისა. საღამოს 5 ნახ. საათზე ყუმ-

# წარსულნი დღენი

(ვუძღვნი ლ. მეტრეველს)

შემოდგომისა ცივი ნიავი,
სევდას ამიშლის და დამაღონებს;
შავი ღრუბელი გულსა მომიკლავს,—
განვლილთა დღეთა რა მომაგონებს.
ცივო ნიავო, ნუ დაჰქრი ველად,
ჩემად მტანჯველად, გულის მომკვლელად!..
თუმცაღა მიყვარს შემოდგომის დღე,
კაეშნით სავსე, პირ-მოქუშული,
მაგრამ ჩემს წარსულ დღეთა მაგონებს
და მიტომ ულვთოდ მიკვდება გული.
შემოდგომის დღევ, ნუ იღრუბლები,
მე გულს მიკლავენ შენი ღრუბლები!..
დღე, მუქაფად იგიც მეკმაროს,
რომ ნებიერად არ ვარ გაზრდილი
და სადაც წაველ, ყველგან თან მდევდა
ტანჯვა-ვაების შავი აჩრდილი.
მაშ, შემოდგომავ, ნუ იღრუბლება,
მე გულს მიკლავენ შენი ღრუბლები!..

**ბ. ახოსპირელი.**

# ნუ თვალთმაქცობ!

(რომანსი)

ჩემო კარგო, მსურს შენს გვერდით
ხმას ვისმენდე უცხოს, ციურს;
ძაფებს ვქსოვდე შენის მკერდით,
რომ ჩავაწნა ობოლ ჩანგურს.
სულ ვოცნებობ .. თანაგიგრძნობ...
შემიბრალე, ნუ თვალთმაქცობ!..

***

ნუ მიცქერი ეჭვის თვალით,
გთხოვ მიმიღე მონად, მსხვერპლად;
აღგზნებული ტრფობის ალით
გადავიქეც ნაცრად, ფერფლად.
შენს აზრთ-კიდეს მაინც ვერ ვსცნობ...
გენაცვალე, ნუ თვალთმაქცობ!..

***

მტანჯე, დამგმე, მე მაწამე,
შენ ცხოვრება ტკბილად განვლე,
მომსპე, ღმერთავ, გინდ მომშხამე
არას გერჩი... დაგენაცვლე!..
ოღონდ მითხარ, რასაცა გრძნობ...
ნუ თვალთმაქცობ, ნუ თვალთმაქცობ!..

**ი. გრიშაშვილი.**

# ეროვნული მოძრაობა ინდოეთში *)

ინდოეთი დიდია და ამასთან მდიდარი ქვეყანაა ინგლისის სამეფოში. ამ სამეფოში, როგორც ვიცით, ყველა ახალშენში ადგილობრივი თვითმმართველობაა შემოღებული. ავსტრალია, კანადა, სამხრეთი აფრიკა—ყველა სრულის დამოუკიდებლობით სარგებლობს შინაურ საქმეებში. ინგლისის იმპერიაში მარტო ინდოეთი და ირლანდიაა, რომ ავტონომიას მოკლებულნი არიან და აკი კიდეც ყველაზე მეტ გაჭირვებას. მთელ ინგლისში ეს ორი კუთხე განიცდის. ინგლისი თავისუფალი ქვეყანაა, არც ერთ კონსტიტუციონურ ქვეყანაში მოქალაქობრივი თავისუფლება არ არის ისე განმტკიცებული, როგორც ინგლისში, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ინდოეთი, როგორც დამონებული ქვეყანა, მაინც დიდ გაჭირვებასა და შევიწროვებაშია.

ინდოელები დიდ-ხანს ითმენდნენ მონობას. მათ უნდოდათ მშვიდობიანად ეწარმოებინათ თავიანთი ეროვნული საქმეები, მაგრამ ულმობელმა სინამდვილემ დაანახვა, რომ მშვიდობიანის მოქმედებით ღელოს ვერ გაიტანდნენ. ინდოელები დარწმუნდნენ, რომ მათი ხსნა მხოლოდ ინგლისისაგან სრულ განთავისუფლებასა და საკუთარ სახელმწიფოებრივ ცხოვრების დამყარებაშია. დაინახეს, რომ მხოლოდ საკუთარ სახელმწიფოს დაარსებით უზრუნველჰყოფენ თავიანთ ეროვნულ ცხოვრების თავისუფალ განვითარებას.

რაკი ერთხელ აღიარეს ეს, სამოქმედო გეგმაც შესცვალეს: მშვიდობიან წინააღმდეგობის მაგიერ აქტიურ წინააღმდეგობას შეუდგნენ. გაჩაღდა საიდუმლო მოღვაწეობა, გახშირდა ტერორისტული აქტები და სხვ. ინდოელები თავიანთ თავს ინგლისის სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილად აღარა სთვლიან, ისინი უპირისპირდებიან ინგლისს, როგორც უცხო შემოსულ მტერს და ბრძოლის სათანადო საშუალებებსაც ხმარობენ. მთელი ინდოეთი გაიმსჭვალა წარმოუთქმელის სიძულვილით ინგლისისადმი. განსაკუთრებით მხნედ იქცევა ახალგაზდობა, რომელმაც თავგანწირული ომი გამოუცხადა ინგლისის ბატონობას.

ინდოელების რევოლიუციონურმა მოქმედებამ ძალიან შეაფიქრიანა ინგლისის სახელმწიფო მოღვაწენი. როგორც ეს ინგლისს სჩვევია, მან მაშინვე რეფორმები შემოიღო, მაგრამ ამავე დროს რეპრესიებსაც უმატა. მაგრამ ინდოეთს რეფორმები აღარ აკმაყოფილებს, მას ავტონომია, სრული დამოუკიდებლობა უნდა. ინდოელები რეპრესიებს არ უშინდებიან და რევოლიუციონურ მოქმედებას განაგრძობენ.

ამ რამდენისამე ხნის წინად ერთმა ინდოელმა სტუდენტმა დინგრმა ინგლისელი კერზონ უილლი მოჰკლა. საქმის გარჩევის დროს სტუდენტი მედგრად დაუდგა მოსამართლეებს და, თავის მართლების მაგიერ, თვითონ მიიტანა იერიში მათზე.

„მე არაფერს არ ვიტყვი თავის დასაცავად,—უთქვამს სტუდენტს,—მე მინდა მხოლოდ ჩემი საქციელის გასამართლებელი საბუთები მოვიყვანო. ინგლისის სასამართლოს არავითარი უფლება არა აქვს დამატუსაღოს, ან სიკვდილით დასჯა გადამიწყვიტოს. სწორედ ამ მოსაზრებით განვაცხადე უარი თავის დაცვაზე. ჩემის აზრით, როგორც ინგლისელის მოვალეობაა გერმანელებს ებრძოლოს, თუ ეს უკანასკნელები ინგლისს შეესევიან, ისე მეც ჩემს პატრიოტულ მოვალეობად მიმაჩნია ინგლისელებთან ბრძოლა. მთელი ინგლისის ხალხია პასუხის-მგებელი როგორც იმაში, რომ უკანასკნელ 50 წლის განმავლობაში ინდოეთში შიმშილით 80 მილიონი სული ამოწყდა, ისე იმაში, რომ ინგლისს ინდოეთიდან ყოველ წლივ ერთი მილიარდი მანეთი გააქვს. ჩემის ღრმა რწმენით, იმავე ინგლისის ხალხმა უნდა აგოს პასუხი იმ აუარებელ სასჯელის და ხოცვა-ჟლეტის გამო, რომელსაც ჩემი პატრიოტიზმით აღფრთოვანებული თანამემამულენი განიცდიან ინგლისელებისაგან. როდესაც ინგლისელი ინდოეთში მოდის სამსახურათ და თვეში, მაგალითად, 1000 მანეთს იღებს, ეს იმას ნიშნავს, რომ მრავალ ჩემს თანამემამულეს შიმშილითა ჰკლავს: იგი სიამოვნებაში ჰფლანგავს იმ ფულს, რომელსაც ინდოელი ლუკმა-პურისათვის მოიხმარდა. როგორც გერმანელებს არა აქვთ უფლება ინგლისი დაიპყრან, ისე ინგლისს არა აქვს უფლება ინდოეთში იბატონოს. აი, რატომ ვამართლებ ჩემს საქციელს, აი რატომა ვწყვეტავ ჩემს მოსისხლე მტრებს. ყველა ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ თავი დავიცვა. პირიქით, სულითა და გულით მსურს ინგლისელებმა სიკვდილით დამსაჯონ, ვინაიდან ამ შემთხვევაში შურის-ძიება ჩემი თანამემამულეებისა უფრო საზარელი იქნება“.

როდესაც მოსამართლემ, ნაფიც-მსაჯულთა ვერდიქტის თანახმად, სტუდენტს სიკვდილი მიუსაჯა, მან გაიცინა და სთქვა: „მადლობელი ვარ, მოწყალეო ხელმწიფევ, ჩემთვის სულ ერთია... ვამაყობ, რომ ჩემი სიცოცხლე სამშობლოს შევწირე“.

თანახმად კანონისა, კლერკი შეეკითხა ბრალდებულს, ხომ არაფერს იტყოდა განაჩენის შესახებ. „რა უფლებით მაძლევთ მაგნაირ კითხვას? გაბრაზებით უპასუხა დინგრმა.—ხომ უკვე გითხარით, როგორც გინდათ, ისე მოიქეცით-მეთქი! თქვენ სასამართლოს ავტორიტეტს მე ვერ ავღიარებ, სიკვდილს კი თამამად უცქერი თვალებში. მოიქეცით ისე, როგორც გსურდეთ. ეს კი გახსოვდეთ, დადგება დრო, როდესაც ძალა ჩვენს ხელში იქნება. მაშინ ჩვენ ისე მოგექცევით, როგორც მოვისურვებთ. რაც სათქმელი მქონდა, ვსთქვი“.

დინგრის თითოეულ სიტყვაში დაუსრულებელი სიძულვილი გამოსჭვივის. მას ეჯავრება არა თუ ინგლისის მთავრობა, ეჯავრება მთელი ინგლისის სამეფო, როგორც დამჩაგვრელი მისი სამშობლოსი.

განათლებული, თავისუფალი ინგლისი ინდოეთში თავდაუჭერელი და გაუმაძღარია. იგი ამაყად უცქერის ინდოელებს, იმის მედიდურობას საზღვარი არა აქვს. ინგლისელების აზრით, ინდოეთში არსებობს ორნაირი ეროვნება: გაბატონებული და დამონებული. ასეთი განაწილება მარტო თეორიული არ არის. გაბატონებული ერი ფაქტიურად ჰბატონობს დამონებულ ერს. თითოეული წარმომადგენელი გაბატონებულ ერისა ისე უყურებს ადგილობრივ მცხოვრებლებს, როგორც პირად ყმებს. ამნაირის მედიდურობი-

*) ვსარგებლობთ დიონეის წერილით, „Русск. Вѣдом.“, N 175.

ბარა იმავე ხრამში ააფეთქეს. აღნიშნულ უბანში ჩხრეკა იყო და რამდენიმე კაცი დააპატიმრეს.

✦ **მეურნეთა კრება.** მკითხველებს ეხსომებათ, რომ კავკასიელ მეურნეთა კრება სხვა და სხვა საკითხის განსახილველად გადაიდო ამა წლის ნოემბრამდე. სხდომა დაიწყება 15 და გასტანს 24 ნოემბრამდე. კავკ. სამეურნეო საზოგადოების საბჭომ უკვე აცნობა ამის შესახებ და დაუგზავნა პროგრამა კრებებისა.

✦ **სატრაქტირო გადასახადი.** გუბერნატორის კანცელარია ტფ. ქალაქის გამგეობას ატყობინებს, რომ გუბერნატორი წინააღმდეგი არ არის გამგეობამ სისრულეში მოიყვანოს საბჭოს დადგენილება სატრაქტირო გადასახადის გაწერის შესახებ. საბჭომ აღრიცხვაში სატრაქტირო გადასახადისა მომავალ 1910 წლისათვის შეიტანა 70,000 მან. 27 სექტემბერს საბჭოს დარბაზში დანიშნულია კრება მესარდაფე-მეტრაქტირეებისა გადასახადის გამნაწილებელ კამისიის ასარჩევად. სხვა დარგის ვაჭრები ამავე მიზნით კრებას მოახდენენ შაბათს, 26 სექტემბერს.

✦ **დებიუტანტი.** როგორც აღვნიშნეთ, ქართული დრამატიული დასი წარმოდგენების სეზონს გახსნის კვირას, 27 სექტემბერს. დასდგამენ დრამას „სამშობლოს". ქეთევანის როლს შეასრულებს ახალი დებიუტანტი, პეტერბურგის დრამატიულ კურსებზე სწავლა დამთავრებული ქ-ნი ნინო კოლხიდელი.

✦ **ორი ებრაელის გატაცება.** როგორც „ტფ. ლ."-ს ატყობინებენ, 22 სექტემბერს გორის მაზრის სოფელ ქვემო ფლავში ვიღაც შეიარაღებული ყაჩაღები შევარდნიან ორ შეძლებულ ებრაელს და ტყვედ წაუყვანიათ. გამტაცებელთ უნდით თურმე დასახსნელი ფული მიიღონ.

✦ **ხოლერა ბაქოში.** 15-დან 22 სექტემბრამდე, ბაქოში ხოლერით ავად გამხდარა ოთხი კაცი. ერთი გარდაცვლილა.

✦ **ხიდი საბურთალო-დიდუბის შუა.** როგორც გავიგეთ, კავკასიის სამხედრო შტაბი მზადაა გაიღოს 30,000 მან. იმ პირისა თუ საზოგადოების დასახმარებლად, რომელიც შეუდგება ხიდის გადებას მტკვარზე საბურთალოსა და დიდუბის შორის. როგორც აღვნიშნეთ, საბურთალოელები შეუდგნენ ზრუნვას მტკვარზე ხიდის გასადებად და ამიტომ მათ ოფიციალურად დახმარება სთხოვეს ტფ. ქალაქის თვითმმართველობას, რომელსაც ამ საკითხის შესახებ დღემდე გარკვეული აზრი არ გამოუთქვამს. ინიციატორები ქალაქის გადაწყვეტილებას უცდიან. საბურთალოელებს აზრადა აქვთ ურთიერთის პასუხისმგებლობით ისესხონ საჭირო თანხა. ფიქრობენ აგრეთვე ხიდს ვორონცოვ-დაშკოვის სახელი უწოდონ ნამესტნიკის პატივსაცემლად.

✦ **ახალ სისტემით მოყვანილი კარტოფილი.** მივიღეთ შემდეგი წერილი: „ბ-ნ ილია წინამძღვრიშვილის მიერ გამოცემულ პატარა წიგნაკით „დარიგება კარტოფილის მოვლა-მოშენებისა ახალ წესით". მივიღე 1909 წ. მეც ვისარგებლე ამ წიგნაკით და ორი ორმო გავაკეთებინე იმ რიგად, როგორც დარიგებაში იყო მოხსენებული, საცდელად. თუმცა დიდი ყურადღება არ მიმიქცევია დათესილ კარტოფილის მოვლისთვის, მაგრამ მაინცა და მაინც თვითეულმა ორმომ შუათანად ორი ჩანახი კარტოფილი მომცა, ესე იგი, ერთ ფუთამდის. ცხინვალში მცხოვრები ან. ელიოზიშვილი".

✦ **ნიაღვარი.** დიდი წვიმები და ნიაღვარი 21 სექტემბერს ტფილისს გარდა ბევრგან სხვაგანაც ყოფილა. ბათუმისკენ (ავჭალა-მცხეთაში) და ბაქოსკენ იმდენად დიდი წვიმები მოსულა, რომ მატარებლები რამდენიმე საათით შეჩერებულან. ზოგი მატარებელი, ტფილისიდან გასული, უკანვე დაბრუნებულა.

✦ ქართლიდან გვწერენ: 20 ენკენისთვეს სოფ. ყარალეტში (გორის მაზრა) ვინმე ქალს თეკლე ბაზინაშვილს ორსულობის წინააღმდეგ წამალი დაულევია, რისგანაც ნახევარ საათის განმავლობაში გარდაცვლილა. როგორც გამოირკვა, ეს წამალი ამ ქალის სიძეს ნესტორ კუპრაშვილს გაუკეთებია. ეს უკანასკნელი პოლიციამ უკვე შეიპყრო და გორის გამომძიებელს გადასცა.

✦ დღეს, 24 სექტემბრისთვის, დანიშნულია სხდომა ქ. შ. წ. კითხვის საზოგადოების გამგეობისა, რომელმაც უნდა განიხილოს რამდენიმე მიმდინარე საქმე.

✦ **ტფ. გუბერნატორის დადგენილებით სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისთვის დაჯარიმებულ იქმნენ:** სიმონ გაგნიძე და გიორგი შალამოვი 25 მან. ამათ ნიხრზე მეტ ფასად გაუყიდნიათ ხორცი და პური. თუ ფულს, ვერ გადიხდიან ორთვი კვირით იქნებიან დაპატიმრებულნი; კვალიშვილი—5 მან., ნიკოლოზ ფირუმოვი—5 მან., მიხეილ ყაზბეგი—10 მან. და მიხეილ კალატოზოვი—2 მან.

✦ 22 სექტემბერს ქავჭავაძის ქუჩაზე მიხეილ ბოჩაშვილის სახლიდან ქურდებს 866 მანეთის ნივთები გაუტანიათ. ეჭვი მიიტანეს ბოჩაშვილის ყოფილ მოსამსახურეზე, სამსონ თავაძეზე, რომელსაც ეძებენ დასაპატიმრებლად.

✦ 22 სექტემბერს, დილის 5 საათზე, სირაჯხანის აღმართში პოლიციამ დააპატიმრა ორი უცნობი, რომელთაც რაღაც ნივთები მიჰქონდათ. დაპატიმრებულნი აღმოჩნდნენ გეურკ სუკიასოვი და იონა ბოჩაკიშვილი. როგორც აღმოჩნდა, 22 სექტემბერს ღამე ქურდებს გაეტეხნათ სირაჯხანის ქუჩაზე ბაქოს მეორე გილდის ვაჭრის სიმონ ქურქიშვილის მაღაზია და დიდძალი საქონელი გაეტანათ. პოლიციამ დააპატიმრა მეეზოვე მეიერ ბებერაშვილი, ბაგრატ არაქელოვი, ნიკოლოზ ოვაკიმოვი, ალექსი მარქარიანცი და სპარსეთის ქვეშევრდომი იბრაგიმ-ილია-რა-ოღლი. სუკიასოვს და ბოჩიკაშვილს 902 მანეთის საქონელი აღმოაჩნდათ.

## ქ უ თ ა ი ს ი

✦ **უსაფუძვლო დავა.** „გაკოტრებული ძველს თამასუქებს დაეძებდაო", რომ იტყვიან, სწორედ ისე დაუწყია სამთო ინჟინერს ბ-ნს მიხაილოვს, რომელსაც ქალაქისაგან კონცესია ჰქონდა მიცემული ქუთაისში წყლისაყვანისა და ელექტრონის ტრამვაის მოსაწყობად. პირობის ძალით, მას 1908 წელს უნდა მოეწყო როგორც წყლისაყვანი, ისე ტრამვაი, მაგრამ უსახსრობისა გამო ვერ მოაწყო. ქალაქმა 1905 წლამდის აცალა, იქმნება, როგორმე მოაგვაროს საქმეო, მაგრამ მან საქმის მოწყობის ნაცვლად, ერთ მშვენიერ დღეს დაჰკრა ფეხი და მოჰკუსლა ქუთაისიდან. დარჩა სრულიად [illegible]რონოდ მთელი მისი კანტორა, [illegible] ქიელის გორაკზე თითქმის დამ[illegible]რებული წყლის აუზი და სხვა. ამითი დამნახველი ქალაქი, რასაკვირველია, იძულებული გახდა გაეუქმებია ბ-ნ მიხაილოვთან დადებული პირობა და მის მიერ წარდგენილი გირაო 30,000 მანეთი და აგრეთვე წყლის აუზი თავის საკუთრებად ჩაეთვალა. ბ-ნი მიხაილოვი პირველად თუმცა ძლიერ დაემუქრა ქალაქს, ზარალს გიჩივლებო, მაგრამ, როდესაც დაინახა, უსაფუძვლო საჩივრით არაფერი გამოვიდოდა, შეურიგდა ბედს და დღემდის კრინტიც აღარ დაუძრავს ამ საქმის შესახებ. ქალაქმა, რასაკვირველია, სხვა პირებთან გამართა მოლაპარაკება წყლისაყვანის შესახებ. სხვა და სხვა წინადადებათა განხილვის შემდეგ, საბჭომ დაადგინა, რომ წყლისაყვანის კონცესია მიეცეთ ინჟინრებს დადიანსა და კანცელს. მხოლოდ ეხლა გამოფხიზლებულა ბ-ნი მიხაილოვი. მას მუქარით სავსე განცხადება შეუტანია ქალაქის გამგეობაში. განცხადებაში არ ასახელებს არავითარ საბუთს, მხოლოდ ლიტონი სიტყვით ამტკიცებს, რომ ქალაქს არავითარი უფლება არა ჰქონდა, მისდა დაუკითხავად და ნება-დაურთველად, ვისთვისმე მიეცა წყლისაყვანის კონცესია. ამიტომ იგი წინადადებას აძლევს ქალაქის გამგეობას, რომ მოილაპარაკება გამართოს მასთან ნებაყოფლობით შეთანხმების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში ემუქრება ქალაქს, საჩივარს აღვძრავ, ერთი რომ—პირობა ისევ ძალაში დარჩეს, და მეორე—ქალაქმა უზღოს ის ზარალი, რომელიც გამოიწვია საბჭოს მიერ პირობის ვითომ უკანონოდ გაუქმებამ. მე აქ ნამდვილ სახელს არ ვუწოდებ ბ-ნ მიხაილოვის საქციელს, მაგრამ ეს კი უნდა ვსთქვა, რომ მისი ყოველ საფუძველს მოკლებული განცხადება, რომელსაც სარჩულად უდევს მხოლოდ თითქმის უკვე გათავებული საქმის შეჩერება და ხელის შეშლა, ყოველ შეგნებულ ადამიანისაგან დასაგმობდასაძრახია. მე მაკვირვებს ის გარემოება, რომ ბ-ნი მიხაილოვი, რომელიც ჭკვიან და თავმოყვარე კაცად ცნობილი, არა კმარობს იმ [illegible]ის გატეხას, რაც ამ 4-5 წლის [illegible] მოუვიდა, და წყალ წაღებუ[illegible] ეხლა ხავსს ეჭიდება. ან, [illegible] ფიქრობს, რომ ამგვარი [illegible]რით ის ვისმე შეაშინებს და რასმე გამორჩება. ვნახოთ, რა პასუხს გასცემს ქალაქის გამგეობა.

✦ **სხდომა არ შესდგა.** 21 სექტემბრისათვის დანიშნული ქალაქის საბჭოს სხდომა არ შესდგა ხმოსანთა საკმაო რიცხვის გამოუცხადებლობისა გამო.

✦ **ცეცხლისაგან დამზღვევი საზოგადოება.** 20 სექტემბერს ქალაქის გამგეობის დარბაზში მოხდა ცეცხლისაგან დამზღვევი ქუთაისის საზოგადოების წევრთა კრება ქალაქის მოურავის დ. ა. ლორთქიფანიძის თავმჯდომარეობით. წარსული წლის სავაჭრო ხარჯ-აღრიცხვის დამტკიცების შემდეგ მოხდა მოსამსახურე პირთა არჩევნები. გამგეობის წევრის ადგილზე კენჭი იყარეს ახლანდელმა წევრმა ნ. მ. კანდელაკმა და რ. ჯაფარიძემ. დიდი ხმის უმეტესობით არჩეულ იქმნა ისევ კანდელაკი. გამგეობის წევრის კანდიდატად არჩეულ იქმნა ისევ ი. ჩხეიძე; სარევიზიო კომისიის წევრებად აირჩიეს ისევ ნ. გამრეკელიძე და კ. ნიკოლაძე. წვრილ მოსამსახურეთა ერთდროულად დასაჯილდოებლად გადაიდო 150 მანეთი.

# მოწერილი ამბავი

**სოხუმი.** ხშირი სტუმარი არასოდეს არა ყოფილვარ ქალაქის თვით-მართველობის კრებისა და არც ეხლა ავიშლიდი ნერვებს იმათის საქციელით, რომ 15 ენკენისთვეს ქალაქში არ გავრცელებულიყო ხმა, დღეს იქნება არჩევა ქალაქის საავადმყოფოსთვის ადგილობრივ ენის მცოდნე ექიმისო. ეს იყო, რამაც მაიძულა წავსულიყავ ქალაქის თვით-მმართველობის დარბაზში კრებაზე დასასწრებლად, რომ ჩემი ყურებით გამეგონა და თვალებით დამენახა იქ თქმული და ჩანადენი. მართლაც და გავრცელებული ხმა ექიმის შესახებ საფუძველს მოკლებული არ გამიდგა. ქალაქ სოხუმს აქვს საავადმყოფო, რომლის შენახვა უჯდება არა ნაკლებ 20 ათას მანეთისა წელიწადში. შვიდ-რვა წელიწადია, რაც ეს საავადმყოფო არსებობს და ამ ხნის განმავლობაში არა ერთხელ გამოცვლილან ექიმები, მაგრამ ადგილობრივ ენის მცოდნე ექიმი არას დროს არა ყოფილა მიწვეული. რასაკვირველია, დამნაშავედ ამაში უნდა ჩაითვალოს ქალაქის თვით-მმართველობა, რომლის ხელშიაც ამ საავადმყოფოს ბედ-იღბალია და რომელიც უნდა ზრუნავდეს ხალხის კეთილდღეობისთვის, მაგრამ ჩვენი ქალაქის თვითმართველობა ამნაირ უნარს მოკლებულია და ამას საზოგადოებაც მიჰხვდა. ერთი თვეა აგერ, რაც საავადმყოფოს უფროსმა ექიმმა თავი დაანება სამსახურს და კიდევაც წავიდა სოხუმიდან, მაგრამ ჩვენ თვითმართველობას არავითარი ზომები არ მიუღია ექიმის მოსანახავად, როგორც ეს გამოირკვა კრებაზე, გარდა იმისა, რომ ექიმის მონახვა მიუნდვია საავადმყოფოს მზრუნველის ნ. ნ. სმეცკოისთვის და ამით დასრულებია თავისი მოვალეობა.

როგორც კი გაიგოთ სოხუმლებს, რომ ქალაქის საავადმყოფოს ექიმმა სამსახურს თავი გაანებათ, დაეწერათ თხოვნა, რომ ქალაქის თვითმმართველობას მოეწვია ისეთი ექიმი, რომელსაც უნდა სცოდნოდა ადგილობრივი ენა, მოეწერა ხელი 180 კაცს და ქალაქის თვითმართველობაში შეეტანათ, რასაკვირველია, იმ იმედით, რომ ქალაქის მამები ყურადღებას მიაქცევდნენ. ქვევით დაინახავთ თუ რა ყურადღება მიაქციეს ჩვენმა მამებმა და რა უთხადად დაიცვეს მოქალაქეთა ინტერესები.

თხოვნა წაიკითხა თავმჯდომარემ—ბ-ნმა მაჭავარიანმა. კითხვა გათავებული არა ჰქონდა მაჭავარიანს, რომ პროტესტორმა დიოგენმა (დოქტორია) დაიწყო ლაპარაკი და ის აზრი გამოსთქვა, რომ ადგილობრივ ენის მცოდნე ექიმი ზარალის მეტს სარგებლობას ვერაფერს ვერ მოგვიტანს, რადგან ისეთი ექიმის შოვნა, რომელიც უნდა ლაპარაკობდეს სხვა და სხვა ენაზე ყოვლად შეუძლებელია, ხოლო მარტო ქართული ენის ცოდნას მნიშვნელობა არ ექნებაო. ამას ექიმმა პოპოვმა (საავადმყოფოს ექიმია) კვერი დაჰკრა და დაუმატა, რომ „ჩვენ, კარგს ექიმებს (სიკარგეში ცოტას კი ვეჭვობ), ავადმყოფებთან ლაპარაკი სულაც არა გვჭირია და ამ მოსაზრებით ექიმი თუ რუსი იქნება, უკეთესიაო". მერე ილაპარაკა მღვდელმა გოლუბცოვმა და ის აზრი გამოსთქვა, რომ სასარგებლო ადგილობრივ ენის მცოდნე ექიმს ვერ ვიშოვით და სჯობია ისევ რუსი მოვიწვიოთო. საავადმყოფოს მზრუნველმა სმეცკოიმ საყვედური განაცხადა უნდობლობისთვის და დასძინა: „ექიმის მოწვევა მე მომანდო საავადმყოფოს კომიტეტმა და ვცდილობ ვიშოვო კარგი ექიმი ადგილობრივ ენის მცოდნე კარგი დოკუმენტებით, და თუ ვინმე გამოჩნდება მე ჩემის მხრით დიდის სიამოვნებით მივიღებო". ხმოსნებმა ბოდიში მოიხადეს სმეცკოის წინაშე „თავხედობისთვის" და ექიმის კანდიდატების წარმოდგენა მაინც მას მიანდეს, მხოლოდ მაჭავარიანმა მთელი ხმოსნების სახელით სთხოვა სმეცკოის, უპირატესობა მიეცით ადგილობრივ ენის მცოდნე ექიმს, რადგანაც, სთქვა მან, „ეს თხოვნა არის დაწერილი არა ბავშვების, არამედ ისეთი პატივების მიერ, რომელთაც თავიანთ თავზე გამოსცადეს ენის უცოდინარობით უხერხული მდგომარეობა და რომელთათვისაც ისე ძვირფასია სიცოცხლე, როგორც მე და თქვენთვის". ხმოსნებიდან არავინ კრინტი არ დასძრა და ამოდენა ლანძღვა ისე ჩაყლაპეს, ვითომ მათ არაფ კი ეხებოდა.

მერე შეუდგნენ საავადმყოფოსთვის ზედამხედველის თანამდებობის დაწესებას. ზევით დასახელებულმა ვაჟბატონებმა აქაც გამოიჩინეს ენა და ეჩიროდნენ, რომ ზედამხედველი საჭირო არ არისო. განსაკუთრებით თავი გამოიდო ექიმმა პოპოვმა (როგორც გავიგე, თურმე ეს ვაჟბატონი 400 მანეთს იღებს წელიწადში ზედამხედველისას და ყურადღებას-კი არასოდეს აქცევს. რასაკვირველია თავს გამოიდებდა!) მაგრამ ამ საკითხს კენჭი უყარეს და ხმის უმეტესობით დამტკიცებულ იქნა ზედამხედველის თანამდებობა. კრებაც დაიხურა.

ამ ინციდენტის აღწერა იმიტომ კი არ ვიკისრე[illegible] დო, არამედ იმიტომ, რომ მაიძულებს ამ წერილ[illegible] ადგილობრივ ენის მცოდნე ექიმმა გამოგზავნოს ქალაქის თვით-მმართველობაში თხოვნა კანდიდატად ჩარიცხვის შესახებ. თუ არავინ გამოგზავნა, მაშინ სმეცკოის თავის გასამართლებელი საბუთი ექნება. რაც შეეხება ჩვენ მამებს, მკითხველმა დასდოს მათ მსჯავრი, ხოლო სოხუმლებს ვურჩევ შემდეგ არჩევნებისთვის არ დაივიწყონ ის, თუ როგორ იცავენ ქალაქის მამები მათ ინტერესებს. **სოხუმელი მოქალაქე.**

**ჭარის მხარე** (საინგილო). ჩვენისთანა მივარდნილ მხარეში კარგი რამ ცვლილება იშვიათია. სამაგიეროდ კაცის-კვლა და ქურდობა მეტად ხშირია. ამისი მიზეზი კი გაუნათლებლობაა. მთელ ამოდენა მხარეში ხეირიანი სასწავლებელი არ არსებობს. სკოლამ ვერა და ვერ მიიზიდა აქაური მაჰმადიანობა. ეს იმიტომ, რომ უვარგისი სისტემით სწარმოებს სწავლა. მასწავლებლებად მთავრობა რუსებს და გამოუცდელებს გვიგზავნის და ენის უცოდინარობის გამო აქაურ ბავშვს ცოდნას კი არა სძენენ იგინი, ამახინჯებენ და გულს უცრუებენ სწავლაზე. ამიტომაა რომ აქაური გამაჰმადიანებულ მოლას არჩევს რუს მასწავლებელს, ამიტომაა რომ ალიაბათის, ბელექნის და თალის სამინისტრო სკოლები ცარიელია. არც თუ ზაქათლის სახელოსნო სასწავლებელია სავსე მოწაფეებით. იგი რვა წლის წვალების შემდეგ იძლევა საცოდავ ცოდნას და პრაქტიკას. ამ სასწავლებლის შესახებ მრავალჯერ აღძრეს შუამდგომლობა, რომ გადაეკეთებინათ საშუალო სამეურნეო სკოლად, რომელიც ასე საჭიროა ამ ბუნებით მდიდარ მხრისათვის, მაგრამ ყოველივე ცდა ამაოდ რჩება. ვერც თუ მარიამის საქალებო სასწავლებელმა მიიზიდა აქაური მაჰმადიანობა და თავის დიდ-ხნის არსებობაში ვერ გამოზარდა ვერც ერთი მაჰმადიანი ქალი. ამ მოვლენას ურიგო არ იქნება ყურადღება მიაქციონ.

ერთი უბედურებათაგანი კიდევ უექიმობაა. მთელ ოლქში მოდებულია სხვა და სხვა სენი: ათაშანგი, ჭლექი, ციებცხელება და სხვა... ხალხი, გამრავლების მაგიერ თხელდება და გადაგვარების გზაზეა. პატრონი-კი არავინაა.

არც აქაურ ზოკების უტიფრობაა დასავიწყი. მოვაჭრეობა მათში სენივით არის მოდებული და მიზანში უფრო ემინიინგილო ჰყავთ ამოღებული, სომხის პრესა კი ამაზე გაჩუმებულია, თითქოს ეს „ღირსშესანიშნავი" მოვლენა არ იყოს.

ბოლოს არ შემიძლიან არ მოვიხსენიო გაჭირვება იმ ორას კომლ იმერლისა, რომლებიც დასახლების ნებას ითხოვენ ჭარ-ბელაქნის და კაკის მიდამოებში, მაგრამ ამ უმიწა-წყლო ხალხისთვის შველა არსაიდანა სჩანს. საჭირო იყო, აქაურ ტყის უფროსს, ბ-ნ აბაზაძეს, მეტი მხნეობა გამოეჩინა მათ დასასახლებლად. საჭირო იყო, ყველა ეს და მრავალი სხვა არ გამოეჰპარვოდა ბ-ნ გაბულოვს, რომელიც მეტად ტენდენციურად გალობს გაზ. „ზაკავ."-ში. **ლადო.**

# თეატრი და ხელოვნება

**ქუთაისი.** როგორც გუშინდელ რეცენზიაში ვწერდით, პირველ წარმოდგენის დაწყებამდე დრამატიულ საზოგადოების გამგეობის წევრმა ილია ჩიქოვანმა სიტყვა წარმოსთქვა. მოგვყავს ეხლა ეს სიტყვა:

ახალი დრო დაუდგა ჩვენ თეატრს, დაარსდა დრამატიული საზოგადოება, რომელიც სათავეში ჩაუდგა ჩვენი თეატრის საქმეს და მოწადინებულია ხელი შეუწყოს იმის აღორძინებას. ამ განზრახვით ქუთაისის დრამ. საზოგადოებამ დაიქირავა ქალაქის თეატრი და შეადგინა უკეთეს ქართველ მსახიობთაგან მუდმივი დასი წარმოდგენების გასამართავად. ამ მსახიობთ ეხლა დამშევის შიში არა აქვთ და, რასაკვირველია, უფრო დამშვიდებულად და გულ-დადებით იმუშავებენ, ვიდრე წინად, რადგან მუდმივი ჯამაგირი ეძლევათ მთელს სეზონში. იქნება, ეს ახალი ხანა ჩვენი თეატრისათვის ბედნიერი გამოდგეს, ხოლო წარსულში ბედნიერი დღე მისთვის ისეთივე იშვიათი იყო, როგორც საზოგადოდ ჩვენთვის, ქართველებისათვის...

როგორც ჩვენი ქვეყნის ისტორიას, ისე ქართულ თეატრის ისტორიასაც ჰმოსავს შარავანდედი მრავალტანჯულობისა, მოწამეობისა... ჩემი ქვეყნის ბედს რომ ვაკვირდები, უნებლიედ ვადარებ მას საბრალო ნავს, რომელიც განგებას საშიშრად მღელვარე ზღვის შუა გულში მოუქცევია. ჭეშმარიტად გულის-მომსერავი და თან დიდებული სანახაობაა! აბობოქრებულ, გააფრთებულ ზღვის ზვირთები ცაში ისვრიან უმწეო ნავს; ერთი წამი კიდევ და ტალღა ჩანთქავს ნაფო-

---

თაა გაჟღენთილი უკანასკნელი ინგლისელიც-კი. მას თავისი ინგლისელობა სრულიად საკმარისად მიაჩნია, რომ ინდოელი რა გინდ განათლებული და წარჩინებული იყოს, თავის ფერხთა ქვეშ გაშხლართოს.

ინგლისელი მწერალი და დეპუტატი კეირ-ჰარდი ბევრს საყურადღებო ცნობას გადმოგვცემს ამის შესახებ. ერთხელ, მაგალითად, ინდოეთში მოგზაურობის დროს, იგი მაგისტრატს სატუსაღოს დასათვალიერებლად მიუწვევია. კეირ-ჰარდის თან ინდოელები ახლდნენ, ნაციონალური ტანისამოსი ეცვათ. თითქმის ყველა ეს ინდოელი წარჩინებული პირი იყო და ბევრს მათგანს გამოჩენილ ოკსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტებში მიეღო უმაღლესი განათლება. სატუსაღოს კარებთან კეირ-ჰარდისა და მის ნაცნობებს შეჰხვდა მაგისტრატი. იგი სიცილით მიესალმა პარლამენტის წევრს, მაგრამ მხრებიდან გვერდით გადახედა ინდოელებს და შეჰყვირა: „წადით აქედან! არ გაჰბედოთ აქ დგომა! ქუჩაში დაუცადეთო"!

„სირცხვილით დავიწვი,—ამბობს ინგლისელი ჟურნალისტი და პარლამენტის წევრი,—რა წამს ოთახში შევედით, მაშინვე ჩემი უკმაყოფილება გამოვაცხადე ამისთანა ქცევის გამო და ვუთხარი, ბრიტანიის იმპერიას არცხვენთ მეთქი".

იგივე კეირ-ჰარდი გვიამბობს: „მადრასში პირველ კლასის ვაგონში შევედი. ამ ვაგონში ორი ევროპიულად განათლებული ინდოელი იჯდა. შევედი თუ არა, მაშინვე ერთი იმათგანი წამოვარდა, ჩემთან მოიჭრა და მითხრა: „გადავიდეთ თუ არა შემდეგ კუპეში, სერ?" გაოცებით შევხედე და ვუპასუხე: „თქვენ ხომ ბილეთი გაქვთ, ხომ ფული მიეცით მეთქი"? „ეგ მართალია, მაგრამ ინგლისელებს, საზოგადოდ არ უყვართ ინდოელებთან ერთად მოგზაურობა", ვაგონებზე არა ერთხელ შეჰხვდებით ამნაირს, ადგილობრივ მცხოვრებთა შეურაცხმყოფელ წარწერას: „მხოლოდ ევროპიელებისთვის. სადგურებზე საპირფარეშოებს აწერია: „მხოლოდ ბატონ ევროპიელებისთვის". თვითოეული თეთრ კანიანი მაწანწალა „ბატონი ევროპიელია", განათლებულ ინდოელებს კი ისე ექცევიან, თითქოს მათი ყმები იყვნენ.

რომეშ დუტსაც მოჰყავს ამნაირი ცნობები. ინგლის-ინდოეთის მოხელენი თავიანთ თავს ღმერთებათა ვსთვლიან. „ერთხელ ჩრდილოეთ-დასავლეთის ინდოეთის მაგისტრატის კამერაში ერთი წარჩინებული ინდოელი შევიდა და მუშაობის შეწყვეტის დროს მაგისტრატთან მივიდა. ამისთანა „თავხედობისთვის" მოხელემ ეს ინდოელი სამი საათი კუთხეში დააყენა პირით კედლისკენ". თუ ასე ექცევიან ინგლისელები წარჩინებულსა და განათლებულ ინდოელებს, ადვილი წარმოსადგენია, მდაბიო ხალხი რა ყოფაში იქნება!

ყოველთვის, როდესაც კი ინდოეთზე ჩამოვარდება ხოლმე ლაპარაკი, ინგლისელი კონსერვატორები სწერენ, ინდოელების გაჭირებაზე მარტო ადგილობრივი ინტელიგენცია წუწუნებს, თორემ გლეხ-კაცობა ძალიან კმაყოფილია თავის ბედითაო. ნამდვილად კი გლეხ-კაცობის მდგომარეობა უფრო აუტანელია. შემოსავალი მიწის მუშისა ცოტაა, გადასახადი კი აუარებელი. გადასახადების რაოდენობა ინდოეთში მიწის შემოსავლიანობის 50 %-ს, ხანდისხან 65 %-ს უდრის ხოლმე. თეთრ კანიან ხალხთა შორის ყველაზე ღარიბები რუსები არიან. ინგლისში ერთი კაცის ხვედრი მთელ სახელმწიფოს შემოსავლიანობაში უდრის 420 მანეთს წელიწადში, შეერთებულ შტატებში 390 მანეთს საფრანგეთში—270 მ., გერმანიაში—220 მან., რუსეთში—მხოლოდ 160 მანეთს, ინდოეთში კი რაიატის (გლეხის) შემოსავალი უდრის სულზე 20 მანეთს.

უკიდურესი სიღარიბე იწვევს ეპიდემიურ ავად-მყოფობებს—ხოლერას და შავ ჭირს. მთელი პროვინციები წყდება ავად-მყოფობისაგან, ინგლისური მოხელენი კი ამ დროს ყურსაც არ იბერტყავენ და ხშირად ვიცე-კოროლსაც არ ატყობინებენ ხოლმე, ცუდს გუნებაზე არ გახდესო.

ყველა ამის შემდეგ გასაკვირველი არ არის, თუ ინდოელებს მოთმინების ფიალა აევსოთ და მშვიდობიან მოქმედების მაგიერ ტერორისტულ აქტებს მიმართეს. მრავალ-მილიონიანმა, ინდოელებმა გამიიღვიძა და და ინგლისი ადრე თუ გვიან იძულებული გახდება სრული თვით-მმართველობა, ავტონომია მიანიჭოს დედამიწის ამ უდიდეს კუთხეს. როგორც ზევითაცა ვთქვით, ინგლისელები დღეს მრავალ რადიკალურ რეფორმის განხორციელებას სცდილობენ ინდოეთში. ამას გარდა აარსებენ არაერთ დაბალ, საშუალო და მაღალ სასწავლებელს, გაჰყავთ რკინის გზები, ხსნიან საავადმყოფოებს და სხვას, მაგრამ ყველა ეს აღარ აკმაყოფილებს ინდოეთს—მას შინაურ საქმეებში სრული დამოუკიდებლობა უნდა. **ჯ.**

ტად ქცეულს ნავს... მაგრამ, დახე სასწაულს, აკი გადურჩა ნავი დაღუპვას! ღელვა გათავდა და ჩვენი კოპწია ნავი კოხტად, ლაზათიანად მისრიალობს ფირუზის-ფერ ზღვაში... მაგრამ როდემდის? ქარიშხალი კვლავ მოსალოდნელია, კვლავ იქუხებს, ზღვა აღელდება და ბეჩავი ნავი ისევ ჩავარდება უმწეო მდგომარეობაში. როგორც ეს ნავი, ჩვენი უბედური ქვეყანაც მთელ თავის ხანგრძლივ ისტორიულ ცხოვრების განძავლობაში იყო მარტოოდენ მსხვერპლი შავ-ბნელ, უკუღმართ პირობებისა. აბობოქრებული ზღვა ცხოვრებისა მასაც ნაფოტივით ისროდა ცაში და მერე ღონემიხდილს, უმწეოს დაანარცხებდა მიწაზე. დღიდან ისლამის გაძლიერებისა ქართველი იდგა ხმლით ხელში იმ ბუნებრივს ხიდზე, რომელიც აერთებს აზიას ევროპასთან, და იცავდა ამ უკანასკნელს შემოსევისაგან. იმ შავბნელ დროსაც ჩვენი ქვეყანა ბუნებით მშვენიერი, „ცა ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი" იყო, მაგრამ ვინ დაინახავდა მის ცის ან მიწის თვალისწარმტაც მშვენიერებას, როდესაც ცა თოფის წამლის კომლით იყო დაბურული და მიწა სისხლით შეღებილი!

რა სახსენებელია ჩვენი ისტორიის ბედნიერი დღენი, რომელნიც ისე იშვიათი იყვნენ, როგორც კორდი ტიალ უდაბნოს შორის! გამუდმებულმა ბრძოლამ ქართველს არაფრისთვის არ მოაცლევინა. ამ მოუცლელობის მიზეზით ჩვენი ქვეყნის კულტურა და მოქალაქობრივი ცხოვრება იმ თავითვე გაიყინა იმ წერტილზე, რომელსაც არ გასცილებია აზიის ერთა უმეტესი ნაწილი. იალქნებ-შემოგლეჯილი, ძალზე შელახული, დაზიანებული გამორიყა ნავი მღელვარე ზღვამ, ხოლო განადგურება, სამუდამოდ დაღუპვა მისი ვერ მოახერხა. საქართველომაც, თუმცა სხეული გალახული და დასუსტებული ჰქონდა, მაინც შესძლო თვისი მედგარი, დაუცხრომელი სული მოეტანა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისამდის. ტანჯვა-გამოვლილმა საქართველომ მიაშურა სამშვიდობო ადგილს... ჰფიქრობდა: დავისვენებ, ახალს დროს, ბედნიერს დღეს მოვესწრებიო... იქნება, სხვებისთვის ბედნიერიც იყო ეს ახალი დრო, ხოლო მან ისეთს გულმხურვალე მამულიშვილს, როგორიც იყო ნიკოლოზ ბარათაშვილი, განწირულებით წარმოათქმევინა საშინელი სიტყვები:

ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის;
ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა, ნულა დამეცეს ცრემლი მწუხარის,—
შავი ყორანი გამითხრის საფლავს მდელოთა შორის ტიალის მინდვრის,
და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა ზარით, ღრიალით მიწას მომაყრის.

სწორედ ამ დროს გაჩნდა ჩვენი ეროვნული თეატრი რამდენიმე მამულიშვილის დაუღალავ მეცადინეობით. ვინ იცის, რაოდენი სასჯელი განიცადა ჩვენმა თეატრმა დღიდან დაარსებისა, მაგრამ მაინც შეირჩინა დღემდის სული და კვლავ უკეთესობასაც მოელის. ამის თავმდებია განვითარება და გავრცელება ჩვენში ეროვნულ იდეისა, შეგნება ეროვნულ ინტერესებისა.

რა არის თეატრი, რას ემსახურება იგი? თეატრის მნიშვნელობა დიდებულმა შექსპირმა ჰამლეტის პირით გამოსთქვა ამ მშვენიერ სიტყვებში: „თეატრის აზრი უწინაც ეს ყოფილა და დღესაც ის არის, რომ ბუნებას სარკედ გაუხდეს, სათნოებას მისი სახის მეტყველება აჩვენოს, ბიწიერებას მისი უმზგავსოება, დროებასა და ხალხს მათი ვითარება და ნაკვალევი". თუ, საზოგადოდ, ყველასათვის თეატრს ამისთანა დიდი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით ჩვენთვის ეს მნიშვნელობა ორკეცია. სანატრელი, ფასდაუდებელია ჩვენთვის თეატრი მარტო იმითაც, რომ, სხვა თავისუფალ ქართულ კულტურულ დაწესებულებას მოკლებულნი, ჩვენ აქ თავისიანებში ვგრძნობთ ჩვენს ვინაობას, ჩვენს ქართველობას. აქ ვისმენთ თავისუფლად მოუბარს ჩვენს მდიდარს ტკბილს, საყვარელს დედა-ენას... ესეთი მნიშვნელობა ჩვენის თეატრისა კარგად ესმოდათ იმ გმირთ, ქვეყნის მოამაგე ქართველთ, რომელთაც იმ შავს დროს, მიუხედავად ათასნაირ დაბრკოლებისა, შესძლეს ჩვენში თეატრის დაარსება. უკვე განვლო 59 წელიწადმა მას შემდეგ, რაც დიდმნიშვნელოვან ეროვნულ საქმეს მიეცა დასაბამი. 2 იანვარი 1850 წ. იყო ის ბრწყინვალე დღე, როდესაც გიორგი ერისთავმა თავისი კომედია „გაყრა" პირველად უჩვენა საზოგადოებას ტფ. გიმნაზიის სცენაზე. ეს იყო პირველი წარმოდგენა პირველ ქართულ პიესისა და ამ წარმოდგენაში მონაწილეობის მიმღებთ კიდეც ესმოდათ, რომ ასრულებდნენ საქვეყნო საქმეს. ამ თვალით უყურებდა საქმეს ის დიდებული კაციც, რომელსაც შემდეგ მოწამებრივი სიკვდილი ჰხვდა წილად. ის კაცი ეხლა მთაწმინდაში განისვენებს.

მთა-წმინდა გულში იხუტებს
საშვილიშვილო სამარეს...

იმ საღამოს იგი „გაყრაში" ივანეს როლს ასრულებდა. მოვალენი ვართ დღეს მოწიწებით თაყვანი ვსცეთ მის დიდებულს ხსოვნას... დიდება და მრავალჟამიერ ვაშა პირველ ქართულ წარმოდგენის მონაწილეთ, ვინაიდან იმათის ხელით დაიდო პირველი ქვა იმ შენობისა, რომელსაც ჰქვიან ქართული თეატრი.

თუ დღემდის დააწვია თავი ჩვენმა თეატრმა უმაგალითო განსაცდელს, რაღა საფიქრებელია, რომ ეს ტაძარი მომავალში მოისპობა, ან უარეს მდგომარეობაში ჩავარდება. ქართველი ხალხი არ იქნება ღირსი ატაროს გულ-გაუტეხელ ერის სახელი, თუ ვერ დაიცავს ეროვნულს მემკვიდრეობას, ეროვნულს წმიდათაწმიდას. ერთს წამსაც ნუ განიშორებს ფიქრთაგან ჩვენი საზოგადოება, რომ თეატრის დღეგრძელობა ერთიანად დამოკიდებულია საზოგადოებაზე. საზოგადოება ასაზრდოებს, ინახავს თეატრს.

ჩვენი დასი არ დაიშურებს შრომას და მეცადინეობას, რომ პირნათლად შეასრულოს ის საქვეყნო სამსახური, რომელიც მას დაევალა, მაგრამ ყოველივე ამაო იქნება, თუ საზოგადოებამ მუდამ ზნეობრივი და ნივთიერი დახმარება არ აღმოუჩინა თეატრის მუშაკთ. დავივიწყოთ ძველი აზრი ჩვენის მოთამაშეების და რეპერტუარის უვარგისობაზე. იქნება, ოდესღაც საფუძვლიანი იყო ეს აზრი, მაგრამ დღეს უსაფუძვლოც არის და უსამართლოც. ნუ ავუხირდებით ყველაფერს ჩვენებურს მარტო მისთვის, რომ იგი ჩვენებურია. ნუ დავივიწყებთ, რომ ყველაფერს, მასთან ჩვენი თეატრის ღირსებასაც შესაფერის, ზომიერის საზომით უნდა გაზომვა. გვახსოვდეს ყველას, რომ ჩვენი ეროვნული თეატრის მოღალატე ისევე დასაგმობია, როგორც ქვეყნის, სამშობლოს მოღალატე. სხვა რომ არა იყოს რა, ერთს რასმე უნდა მოვერიდოთ, ხომ გახსოვთ, რას ეუბნება ჰამლეტი პოლონიუსს აქტიორების შესახებ: „არ შეიძლება, ჩემო ბატონო, ეს აქტიორები კარგად დააბინავებინო და უბრძანო, კარგად დაუხვდნენ, თორემ ხომ იცით: ეგენი ამ დროის შემოკლებულნი მატიანენი არიან და სიკვდილის შემდეგ საფლავის ქვაზედ ცუდი წარწერა უნდა გერჩიოს, სიცოცხლის დროს მაგათთან ცუდის ხმების დაყრასა".

მაშ, გაუმარჯოს ქართულს თეატრს! გაუმარჯოს მის შემნახველს ქართველს ერს!

—

**ოპერა.** ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი" ძალიან უყვარს ტფილისის საზოგადოებას; ამიტომაც ამ ოპერის პირველმა წარმოდგენამ საზოგადოება საკმაოდ მიიზიდა, თუმცა ფასები მომატებული იყო.

თამამად შეიძლება ითქვას, ეს წარმოდგენა ამ სეზონში ერთი საუკეთესოთაგანია, როგორც მომღერალთა კრებულის მიხედვით, აგრეთვე მორთვა-მოწყობით. ერთი რამ უტყუოდა ამ წარმოდგენას—ეს ორკესტრი. მუსიკალური ფერადები, საორკესტრო ჰანგებში გამოხატული, ჩაიკოვსკის მიერ ცხოველმყოფელია, გრძნობის ამშლელი და თვალნათლივად დამახასიათებელი მომქმედ პირთა სულიერ ვითარებისა, თუ ბუნების ძალთა მეტყველებისა, მაგალითად მეორე სურათის განთიადი და მასთან შეზავებული მწყემსის მშვენიერი სალამური. ბ-ნმა მაკლაშევსკიმ თვისის უუნარობით ალღო ვერ აართვა ამ გრძნობიერ, ადგილ-ადგილ სიმფონიურ მუსიკას და ჩრდილში გახვია მთელი მშვენება ორკესტრისა. ისეთის ღრიანცელით, ისეთის გზაბნეულის პოტიალით ვიდოდა ორკესტრი, რომ მთვრალი კაცის აქეთ-იქით მიხეთქ-მოხეთქება გეგონებოდათ. რუსულ „დალაბანდის" ზრახუნმა ხომ მეექვსე სურათის დარბაისულ პოლონეზში ყურთა სმენა წაიღო. ამას გარდა, ბ-ნი მაკლაშევსკი მომღერლებსაც უშლიდა, რადგანაც საკრავების ხმათა სიძლიერე როდი განეწონა და არტისტების სიმღერას და აყრუებდა მათ.

მომღერალთა შორის უპირატესობა ეკუთვნის სადებიუტოდ პირველად გამოსულ ტენორ გუკასოვს. ნამდვილი ტენორია, ყველა ფარდებში თანასწორად სასიამოვნო და ამასთანავე მეტყველი, გრძნობა-განერი ხმა აქვს. თუმცა ლენსკის პარტიას მღეროდა, მაგრამ იგი სრულიად ლირიკული ტენორი არ არის; ზოგიერთ ამოძახილში მის ხმას ისეთი ძლიერება ეტყობა, რომ შეიძლება დრამატიულ პარტიების ასრულებაც მოახერხოს; საკმაო უნარიც აქვს სიმღერისა, თუმცა სცენაზედ გამოუცდელობის მოკრძალეობა თვალ-ნათლივად ჰბორკავდა მას და ამიტომ მიხვრა-მოხვრაში მოხდენილობა, პლასტიკა აკლდა. მაგრამ ყველა ეს ადვილად შეიძინება; საქმე ის არის—ხმაა აქვს კარგი და შესაფერი მუსიკალური ალღო. საზოგადოებას იგი ძალიან მოეწონა,—

ქ-ნი შულგინა და ბ-ნი სოკოლსკი კარგი ტატიანა და ონეგინი არიან. ხმაც შესწევთ, სასცენო გამოცდილებაც, მაგრამ არ შემიძლიან არ აღვნიშნო—იმათი სიმღერა არა სწვდება მსმენელის გულსა, არა სძაგრავს ნერვებს, არ იწვევს სულისკვეთებას. მათი სიმღერა მთვარის მოკაშკაშე, მაგრამ გაყინულ ელვარებას უფრო ჰგავს ვიდრე მზის ცხოველ, გამათბობელ მგზნებარებას. მაგალითად, სოკოლსკის მეტის-მეტად თვალსაჩინო ხმა აქვს: მკვეთრი, მედგარი, მაგრამ პრანჭვა-გრეხით იდგამს ამ ხმას... არა, თითონ-კი არ იპრანჭება სიმღერის დროს (თუმცა არც ეს აკლია), არამედ ჰპრანჭავს თვით ხმას, ამოძახილს, როგორც ზოგიერთებმა ლაპარაკში იციან ხოლმე.

ქ-ნი კალინინა (ძიძა) ძველი ჩვენი ნაცნობობა. წინადაც კარგი ხმა ჰქონდა (მეცო სოპრანო) და ახლა უფრო უკეთესია. სასცენო უნარიც საკმაოდ შეუძენია, მაგრამ, ჩვეულებრისამებრ, მუდამ ლოტბარისაკენ იყურება, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ იქ ვერაფერს სანუგეშოს ვერა ჰნახავს.

ბ-ნი გალეცკი გრემინის როლში საზოგადოებას ძალიან მოეწონა.

ვაშა ბ-ნ ეიხენვალდს! მშვენივრად მოუწყვია სცენა. ყველაფერში ნამდვილი ცხოვრების ელფერი სჩანს. მეექვსე სურათის ბალი ხომ შესანიშნავია, სულ ახალის გეგმით არის გამართული. საზოგადოება ძალიან კმაყოფილი დარჩა.

ინენ·

## უცხოეთი

### ინგლისის ლიბერალიზმის გაცოცხლება.

ინგლისური რადიკალური გაზ. „დეილი ნიუს"-ი ასწერს იმ დიდ ცვლილებას, რომელიც მოხდა ინგლისურ ლიბერალურ პარტიის აზროვნობასა და პროგრამაში და რომლის წყალობით ამ პარტიამ ისევ დიდი ძალა მოიპოვა ინგლისის ხალხში. გაზ. სწერს:

„ინგლისის პოლიტიკურ ისტორიაში ამ ოციოდე წელიწადში მ[illegible] მი დიდად მნიშვნელოვანი ამ[illegible] სამივე ამბავმა გამოიწვია ცვ[illegible] პოლიტიკურ მდგომარეობასა და პ[illegible]ტიკურ აზროვნებაში. სამივე ეს საქმე ითავეს მამაცმა და გაბედულმა მოღვაწეებმა, რომლებიც პოლიტიკაშიაც ისე იშვიათნი არიან, როგორც ომში. პირველი ორი საქმე სრულის მარცხით გათავდა; გლადსტონის მეცადინეობამ—ირლანდიის ავტონომია მისცემოდა—არივ-დარია ლიბერალური პარტია, ხოლო ჩემბერლენის სატარიფო რეფორმამ არივ დარია კონსერვატიული პარტია, სულ სხვა შედეგი მოჰყვა ლოიდ ჯორჯის ბიუჯეტს—მან განაახლა ლიბერალური პარტია.

1886 წლიდან 1906 წლამდე ლიბერალური პარტია ინგლისში თითქო მიმკვდარუნებული იყო. მისი იდეალები ფეხ-ქვეშ გაოელა გამარჯვებულმა რეაქციამ და ყველამ ზურგი შექცია ამ პარტიას. ორიოდე მაგალითის გარდა, ლიბერალური პარტია თითქმის არაფრით იჩენდა სიცოცხლეს და გარედან მაყურებელს ეგონა, რომ ინგლისის ლიბერალური პარტია იმდენადვე უნაყოფო და უსარგებლო შეიქნა, როგორც გერმანიის ლიბერალური პარტიაო.

ესეთი შეხედულება არც თუ სიმართლეს იყო მოკლებული. ლიბერალურმა პარტიამ, როგორც მანჩესტერის სკოლის აზრთა წარმომადგენელმა, თითქმის, შეასრულა თავისი დანიშნულება: მან თითქმის სრულიად დაამყარა ინგლისში სამოქალაქო და სარწმუნოებრივი თავისუფლება. ძველი ლიბერალიზმი ცდილობდა პიროვნების განთავისუფლებას ძველ ფეოდალურ და არისტოკრატიულ შემავიწროვებელ და შემზღუდველ წესებისაგან. პარტიას ჰქონდა ინდივიდუალისტური შეხედულება; იგი ცდილობდა, რომ ყოველ ცალკე პიროვნებას სრული თავისუფლება და თანასწორობა მიენიჭებინა სამოქალაქო ცხოვრებაში. სახელმწიფო, იმის აზრით, მოვალე იყო ყოველ პიროვნებისთვის უზრუნველეყო თავისუფალი და უკანტროლო მეტოქეობა.

ეს სადი და სწორე შეხედულება იყო, სანამ სახელმწიფო იცავდა პრივილეგიებით მოსილ უმაღლეს წოდების ინტერესებს. მაგრამ სახელმწიფო თანდათან გადემოკრატდა და ლიბერალიზმის დანიშნულებაც შეიცვალა. პოლიტიკური თავისუფლება გამოდგა მხოლოდ ერთი საფეხური პიროვნების სრულის თავისუფლებისა. გამოჩნდა, რომ გაცილებით უფრო საჭირო და არსებითი ყოფილა ეკონომიური თავისუფლება. ხოლო ეს ეკონომიური თავისუფლება იმდენადვე შეუძლებელი აღმოჩნდა მდიდრების ბატონობის დროს, ისე როგორც დიდკაცობისა და ფეოდალების დროს იყო შეუძლებელი. მუშები არისტოკრატების ყვის გაეყარნენ და მდიდრების, პლუტოკრატების ყვის შეეყარნენ. მათი საარჩევნო უფლება ლიტონი სიტყვა გამოდგა ეკონომიურ უთანასწორობის მოსასპობად... რაში გამოადგება მუშას ხმის უფლება და თანასწორობა, როდესაც მას თანხად მარტო მარჯვენა მკლავი აქვს....

ლიბერალიზმმა სახელმწიფოს მტარვალობისგან გაანთავისუფლა თითოეული პიროვნება; ეხლა დრო დადგა,—სახელმწიფო განათავისუფლებს თითოეულ პიროვნებას მტარვალობისგან, მაგრამ ლიბერალური პარტია გვიან მიჰხვდა ამას. იგი არა ჰქადაგობდა მანჩესტერის სკოლის ძირითად პრინციპებს და არ ესმოდა, რომ პიროვნების ნამდვილი თავისუფლება მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როდესაც სამართლიანი და დემოკრატიული სახელმწიფო საქმეში ჩაერევა და შეეცდება ეკონომიურ უთანასწორობის მოსპობას.

მთელ 20 წელიწადს ეძახა ლიბერალურ პარტიას. 1906 წელსაც მან თითონ როდი გაიმარჯვა, იგი ძალად გაამარჯვა კონსერვატიულმა მთავრობამ. მაშინდელ არჩევნებში ლიბერალების გამარჯვება ისე მათ გამარჯვებად არ უნდა ჩაითვალოს, როგორც კონსერვატორების დამარცხებად. მართალია ლიბერალურ პარტიის მეთაურმა ჰ. კემპბელ-ბანერმანმა მაშინ თავიდ[illegible] დემოკრატიული პროგრამა გამოსცა, მაგრამ ინგლისის ერს მაინც არა სჯეროდა ამ პარტიისა, მას ისე-კი ახსოვდა მისი არსებობა. ხალხი თითქმის ვეღარც-კი არჩევდა ლიბერალებს კონსერვატორებისგან. სოციალურ რეფორმების გულმოდგინე მომხრეები მომეტებულ ნაწილად მუშათა პარტიაში შევიდნენ, რადგან გული გაუტყდათ ლიბერალებზე.

სამი წლის განმავლობაში 1906 წლის აქეთ, ლიბერალური სამინისტრო უნდებოდა იმ ახალ ბიძგინტების მოშორებას, რომლებიც კონსერვატორებმა შეუდგეს ეკონომიურ უთანასწორობას. მაგრამ ლიბერალების ასეთ მოქმედებაში ახალი არა იყორა. მართალია მას შემდეგ ლიბერალებმა რამდენიმე დიდად სასარგებლო კანონპროექტი დაამტკიცეს, მათ შორის ყველაზე საყურადღებო იყო კანონპროექტი მოხუც მუშათა პენსიებზე, მაგრამ ლიბერალებმა ამითაც ვერ მოუგეს გული ინგლისის ერს: დამატებით არჩევნებში მომეტებულ ნაწილად იმარჯვებდნენ კონსერვატორები.

სულ სხვა შთაბეჭდილება მოახდინა ინგლისზე ლოიდ ჯორჯის ბიუჯეტმა და მისმა შესანიშნავმა ისტორიულმა მუხლებმა მიწისა და ფართე სოციალურ რეფორმების შესახებ. ამ ბიუჯეტმა მეტის მეტად მოხიბლა ხალხის გონება და დაამტკიცა, რომ ინგლისის ერის დიდი უმეტესობა მიწის მონოპოლიის მოსპობის მომხრე ყოფილა, ეს მოულოდნელი იყო ყველასთვის. ყველას დაავიწყდა, რომ უკვე მეოთხმოცე წლების დამდეგს ადგილ-მამულის საკითხმა დიდი მოძრაობა გამოიწვია ინგლისში და რომ მაშინ თითონ ჯოზეფ ჩემბერლენი მოითხოვდა მიწების „გამოსყიდვას". მაგრამ ეს მოძრაობა ოცი წლით ჩაქრო და წალეკა იმპერიალიზმის და რექციის ტალღებმა. ამ მოძრაობის განსაახლებლად და ასამაღლად საჭირო იყო შესაფერი წამი და შესაფერი მოღვაწე (ლოიდ ჯორჯი).

ბიუჯეტის ის მუხლები, რომლებიც მიწას შე[illegible] თად. ამ მუხლებმა იმედი გაუღვიძეს ინგლისის ერს, რომ მას ისევ დაუბრუნდება წართმეული მიწა, რომ მას ცოტაოდენი წილი ექნება საკუთარს ნაშრომში, რომელიც ეხლა მთლად რჩება იმათ ჯიბეში, ვისაც მიწა დაისაკუთრებს".

**ბიუჯეტის მოულოდნელი მომხრე.** კონსერვატიულ სამინისტროებში რამდენჯერმე მინისტრად ნამყოფმა გერსტმა ძლიერი სიტყვა წარმოსთქვა ბიუჯეტის დასაცველად. და სთქვა: „ეხლანდელ ბიუჯეტს „სოციალისტურს" ეძახიან.— ეს დიდი სისულელეა, [illegible] საშუალო კლასს. მე ვარ მომხრე მრეწველობის ყველა მსხვილ დარგის სოციალიზაციისა და მონოპოლიების მოსპობისა და თუ ჰნებავთ, მეც სოციალისტად ჩამთვალონ.

გერსტის სიტყვამ მთელი ინგლისი გააოცა (რ. ს.)


გრიბოედოვის „პერეულოკში", № 6, ზემო სართულში

**ქირავდება**

ერთი ან ორი ოთახი მარტოხელ კაცისათვის; შეიძლება სადილითა და მოწყობილობითაც. იქვე **ასწავლიან ფრანგულსა, გერმანულსა და ინგლისურ ენებს.** (3—უ.—3)

ვაჭრობისა და მრეწვ. სამინისტროს უწყებაში მყოფი

**საბუხჰალტრო კურსები ნ. ვ. აბრაამიანისა.**

ტფილისი, ნიკოლოზის ქ., 22, საკ. სახლი, ტელეფონი N 744.

კურსები „ბუხჰალტერიის სახელმძღვანელოს" ავტორისაა. ეს სახელ. მოწონ. საკომერც. სასწავლებლისთვის ფინან. სამინისტროსაგან.

კურსები ორივე სქესისთვისაა. სწავლის ვადა 4 თვე. ასწავლიან **უცხო** ენებს და სტენოგრაფიას. სწავლა დაიწყება 15 სექტ. 1909 წ. და იქნება ყოველ დღე. პროგრამები და წესები უსასყიდლოდ იგზავნება. მიღება ყოველ დღე 15 აგვისტოდან.

კურსებთან სუსტად მომზადებულთათვის არსებობს მოსამზ. კურსები. ვინც ბუხჰალტერიის სახელმძღვანელოს გაიწერს ავტორისაგან, გასაგზავნ ფასს არ გადაიხდის. წიგნი ღირს 3 მ. 50 კ. (0—ხალ—19)

ტ. მ. ფილოიანის

**საკომერციო ცოდნის კურსებზე**

(მიხეილის პროსპ. N 24/4).

ასწავლიან **ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ** ენებს. თავისუფლად კითხვას, წერას და ლაპარაკს კაცი რვა თვეში შეისწავლის თეორეთიულ და პრაქტიკულ მეცადინეობით. მოეწყობა ჯგუფები ლათინურ ენის შესასწავლად სიმწიფის ატესტატების მისაღებად. მიღება 10—12 ს. და 4—7 ს.

კურსების დამაარსებელი საკომერც. მეცნიერებათა კანდიდატი **ტ. ფილოიანი.** (20—ხალ.—18)

**პროვოდნიკის**

1897 წ. 1888 1908 წ.

**ამხანაგობა რიგაში**

საფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში

სოლოლაკის ქუჩა, № 4.

**იყიდება ნარდად და ცალობით:**

რეზინის საქიპაჟო შინები,

პნევმატიური ავტომობილის შინები „ალმაზი" (წითელი),

პნევმატიური შინები ველოსიპედებისთვის,

მკვიდრ-რეზინის შინები ავტომობილებისა—ომნიბუსისთვის.

„პროვოდნიკი"-ს ამხანაგობის შინები მრავალი წლის გამოცდილებით საუკეთესო შინებად არის მიჩნეული და ღირსებით აღემატება საზღვარ-გარეთის საუკეთესო ფაბრიკატებს, რასაც მოწმობს არა მარტო ის, რომ რუსეთის სახელმწიფოში ამ შინებზე დიდი მოთხოვნილებაა, არამედ ის, რომ აუარებელი და უმთავრესად საზღვარ-გარედ გადის.

**ცალობით ვაჭრობა დედა-მიწაზე საუკეთესო კალოშების „პროვოდნიკი"-სა**